

თამარ მეფე

ზეპირის ამბავით.



მეოთხე გამდცემა

თბილის 1911 წ.



# თ ა მ ს რ მ ე ფ ე

ქართველ მაკმადიანთ ზეპირის  
ცნობებით.

33801

ზ. ჭიჭინაძისა

მეოთხე გამოცემა



თ ა მ ს რ მ ე ფ ე

სტამბა „ნადეჯა“ სემენოვის ქუჩა № 4.

1911

## თამარ მეფე

როგორც ქვა და რკინის ერთმანერთთან შეტყორუნით  
გამოკრთება ცეცხლი, არუ ნაბერწეალი, ეგრეთვე აღმობრ-  
წყინდება თამარ მეფის ცხოვრების ამბავი. „ქართლის ცხოვ-  
რების“ თქმით ამ მეფის ცხოვრების აღწერა შეუძლებელია,  
ძნელი, მიუთხრობელი, ენით გამოუთქმელი. მის მომთხრო-  
ბელს ბერძნთ ფილოსოფ პლატონის და არისტოტელის ენა  
უნდა ჰქონდეს, ანუ ქართველთ დიდებულის რუსთაველის  
კალამი.

„თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ დათხეული“  
„მეფნად ვისმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“.

თამარ მეფის ცხოვრების აღწერის სიძნელე ძველადვე გამო-  
თვეს ქართველთ ნასწავლ ფილოსოფებმა. მაგალითებრ: თა-  
მარ მეფის დროის ქართველთ ფილოსოფ ივანე შავთელი ამბობს:

„შემოკრძით ბრძეონნო, ათინელთ ძენო,

თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა,

კრიტს; ალაბს, მაღრიბს, ეპიზტეს, შაშრიბს

ჩინეთ-ჩინეთსა, თარშის ქებულსა“.

იმავე დროის ქართველთ მეორე გამოჩენილ ნასწავლმა,  
ფილოსოფ გრიგოლ ჩახრუხაძემაც მიმართა თამარის სიბრძნის  
აღწერას ასე:

„შო, ფილოსოფნო, სიტუგითა არსეთ,

თამარს ვაქებდეთ გულის-ხმიერსა,

არისტოტელო, ბრძენთა ტომიელი,

თუ რას არ შესძლებს ენა ძლიერსა“.

ჩვენ უველას ვერ მოვსთვლით აქა ნამეტურ შეამკეს და  
აღიდეს შემდეგ დროის ქართველთ კათოლიკოზებმა თავიანთ  
ლექსებ — იამბიკოებშით

თამარ მეფე ბრძანდებოდა გიორგი მეფის ქალი, გიორგი  
მესამის მამა იყო დიმიტრი მეფე, დიმიტრის მამა დავით მე-  
სამე, შემდეგ დავით აღმაშენებელად წოდებული, რაღაც აც  
ამ მეფემ გაანათავისუფლა საქართველო არაბებისაგან. მაშინ  
საქართველო არაბებს აძლევდენ სახელმწიფო ხარჯს, არა-  
ბებს ორასი წელიწადი ეჭირათ საქართველო, ამ ღვაწლის-  
თვის დავით აღმაშენებელი ქართველთა კათალიკოზების  
ბრძანებით წმინდანთა იქმნა შილებული. ამის შეილად დიმიტრი  
მეფეც ბრძენი მეფე იყო, ეს ბერათ შედგა, სახელად დამია-  
ნე დაარქეს, ქართულს მწიგნობრობასაც მისდევდა,— მეფო-  
ბა შვერლს, გიორგი მესამეს ჩააბარა. როგორი ბრძენ მეფე-  
ნიც დავით და დიმიტრი ბრძანდებოდნენ, ასეთივე ბრძენ  
იყო გიორგი მეფეც, გიორგის ქალი ბრძანდებოდა თამარ  
მეფე, ანუ თამარ მნათობი, რუსთაველის სიტყვით მზის სა-  
დარი, ბინდის გამსხივებელი, ქვეყნის მზე-თინათინი.

თამარ შეფის დედა ბრძანდებოდა ოსეთის მთავრის  
ხუდანის ასული ბურდუხან დედოფალი მეტად ჰკვიანი.  
ჩვენის ისტორიის თქმით ეს დედოფალი უმაგალითოს კარგის  
თვისების ყოფილა, მას დიდათ ებრალებოდა ღარიბნი, ღა-  
რაკნი, ბრალეულნი, დამნაშავენი, ყველას ქომაგი, ყველას შო-  
მხრე, ღატაკებს თვით თავის ხელით ურიგებდ სარჩო საბადე-  
ბელს, მოწყალებას. გიორგი მეფეც ასეთივე კეთილის თვისების  
ბრძანდებოდა. ამათ ასწავლეს თამარ მეფეს ნაზი კრძალულე-  
ბა, მაღალი სათნოება, დამნაშავეთა საქმეების კარგათ, გან-  
სკვრეტა, მერე მის გარჩევ-განპჭობა, ყველას შეწყალება,  
ყველას პატივი, დიდთა და მცირეთათვის ერთი სამართალი.

მეფე გიორგიმ, დიმიტრიმ და დავით აღმაშენებელშა  
თვის ჰკვიანის მოქმედებით საქართველო ყოველნაირის მხრით  
აღამაღლეს, დაწინაურეს, თანაბარ გახადეს იმ დროის ყველა  
განათლებულ საეფთოების, რომლებიც დიდის დიდებით  
ბრწყინვდენ, ასეთ განათლებულის ტომთა ექუთვნოდენ  
ელინი (ბერძენი), იტალიელნი, ფრანგნი და ზოგი ერთიც

სხვა განათლებული ქრისტიანთ სამეფონი. მაშინ საქართველო ამათი ცალი და სადარი იყო, ამიტომ ეწოდა ქართველთ ბრძენ კაცთაგან ხსენებულ დროის საქართველოს „ოქტოს სუუჯუნ“ „ასე რომ დიღებულს და ბრძენს თამარ დედოფალს მამა-პაპათაგან ჩაბარდა ძრიელი საქართველო, ძრიელ სამეფოს მოევლინა ჭკვიანი დედოფალი და ამან უფრო გააძლიერა ბევრ ნაირის ძლიერებით ამაღლებული საქართველო.

ასეა ყველგან სადაც კი დედ-მამას კაი შვილები გამოსდით, უხეირო შვილების შეოხებით ბევრი ოჯახი დაცემულა, ბევრი სამეფოებიც მოსპობილა, ბევრს მამასახლის დაუკარგავს თვისი მამასახლისობა, ბევრს მეფეს მოჰლებია ბოლო, წართმევია გვირგვინი და ტახტი. ჩვენ ქართველნი ძლიერნი და ბეღნიერნი ვიყავით მაშინ, ვიდრე კარგი მეფები და თავადები გვყავდნენ, დავეცით მას შემდეგ, როცა უპირველესად ქსენი წახდენ, როცა ამათ უძლური ხალხის საქმეს გული აჰყარეს, თვალი მოარიდეს, დიდ პატარაობა დაარსეს, მაღალი წოდება გაამედიდურეს, ხელში მათ უძლურთა მომრეობის ძალა მისცეს, ბევრნაირის უსამართლოების ძალოვნებით შემოსეს, დიღსა და მცირეთ შორის დიდი განსხვავება და გარჩევა დააფუძნეს.

საქართველო ამაღლდა რიგიანის გამგე პირებისაგან,— საქართველო დაეცა ურიგო მეფე-თავად-პირებისაგან.

თამარ მეფე დაიბადა 1159 წ. იგი მეტათ ჯან სალი ბრძანდებოდა. შესახედავობით ყოფილი მეტათ ნარ-ნარი, მშვენიერის თვალ ტანადობის, ყმაწვილის ხილვას ყველა განცვითებაში მოჰყვანდა. თამარის დაბადება მთელმა ქართველობამ დიდის დიდებით იდლესასწაულა. თამარის დაბადების დღესასწაულის მიზეზათ ისიც იყო გამხდარი, რომ გიორგი მეფე, ე. ი. მამა თამარ მეფისა და მეუღლე გიორგი მეფის, დედა თამარის,--დედოფალი ბურდუხანი ქართველებს დიდათ უყვარდათ. ამ სიყვარულს ნათლათ აკეოველებდა მათი კარგი მოქმედება, ერის უზადოთ სიყვარული, მათი უმანკოთ

პატივის ცემა და ქართველთ ტომის წარმატების ხაერო ლა-  
ლადი. ერის უზადო სიყვარულს უარესათ აფართოვებდა და  
ამძლავრებდა იმ დროის ქართველთა ტომის სიუხვე, სიდია-  
დე, მაშინ ქართველი ტომის ორივე სქესის რიცხვი ითვლე-  
ბოდა 10 მილიონზე მეტი. ამას გარდა მაშინდელს ქართვე-  
ლებში სხვა ბევრი კეთილი რამ წარმატებით მხარეებიც არ-  
სებობდა, მაგალითებრ: მაღალსა და დაბალს წოდებაში არ  
იყო ისეთი ზიზღი და მტრობა გავრცელებული, რაც ჩვენდა  
საუბედუროთ ეს შემდეგ დროის ქართველებში გავრცელდა.  
მაშინ თავადი, აზნაური, მღვდელი და გლეხი ყველა ქართ-  
ველ იყო, ყველას თავის თავი ქართველად მიაჩნდა, ყველა  
მით ნეტარებდა, რომ იგი საქართველოს შვილი იყო, ერთის  
ტომის-აკვნის ჟენი, ერთის კერის წინაშე ყველა ერთობით  
მსხდარი. იცოდნენ მათ ისიც კარგათ, რომ ვიდრე მათ შო-  
რის იქმნებოდა მტკიცე ერთობა, მინამდის მათ მტერი ვერას  
და კლებდა, ვერ გასტეხდა, როცა ეს ლირსება დამტკიცებულ  
შეიქმნებოდა მათ შორის, მაშინ მათ მტერიც აღვილად მო-  
ერეოდა. ამ ბრძნულს ანდაზას ასაბუთებს შემდეგი თქმუ-  
ლებაც:

„შერმან ქართველის ქაცისამან დაქცია თჯახი თვით ქართვე-  
ლია, ფურფლათ აქცია ჩეენა მაშეჭი.“

როცა ქართველთა შორის შურმან იწყო მალლა წევა  
და გაფართოვება, მას შემდეგ ქართველი ერიც მიეცა ვრცო-  
მილებას და უძლურებას, ამ მოსავალს ის გარემოებაც უფრო  
უწყობდა ხელს, რომ ჩვენს გარშემო მაპმაღრიანთ იწყეს ალო-  
რძინება და გამაგრება, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ  
საქართველო ვერ ალორძინდებოდა და ვერ დაწინაურდებო-  
და იმ სახით, როგორც იგი დაწინაურდა მშვენიერის, დაბე-  
ბით, სოფელ-ქალაქებით, გზა და ხიდებით, მეურნეობით,  
ხელოსნობით, ეკულესიების შეწებით, სწავლით და ხალხის  
რიცხვით, მაშინ იმოდენათ ძლიერი იყო ქართველი, რომ  
მარტო, ახალციხის მხარეს ერთი მილიონი ქართველობა

ԿԿիեցրոծօթօ, մանոնքը յարտզելու մըուղեան գանցուցորժ-  
ծա՛ն մուշպաշ, այսու գլուխանքը յարտզելս գարու ու պիտ  
մոց թառնուր, հայեց-կո բածրմապեծուլոց ի զարու.

տաման մեցյ Տաբարառօծօթօ օհրգեծուր և սամյունս սա-  
ելուն, մաս նրգութեան մի դրուս յալցիս Եթավլու Եցուցեան ս  
կալութա. սմէրտիս պարագանեան աշուրոծուր հոյսութան գուղո-  
ղուլո, մարու տամարուս. յս գուղակապուր մերտա կյացանք պար-  
տուր, Մորս մեցուցուր, մուռնե մի դրուս պարու Եթավլու մըունուցուր  
մի մատանց ելուս յմէնուր դաելուրացուլու, վրա, կարչա և  
կարչա յարցա սմօլլոց սունուր տամարուր և սպառուր տայուս մմա  
ցուրնցու մեցյուր գուղութա. տաման մեցյ Եթավլուն մը-  
բաթ ելուսուն պարտուր, պարտուր սագնենս ոգու սալցուլուսաւ  
ունուսիցմէն. տամարմա յարցաթ ՄյուսԵթավլու յարտուլու յնա, սայե-  
րտուցուրու մցուր ուրուրու, սամլրու Եցուրուր, սեցա-դա-սեցա  
սացնեն, ծերմցուր յնա և մատու միուցնուրում, լուտունուրու  
յնա և Եցուր տատիրուլու, սունենուր և հոյսուլուր, հաջգանաւ  
մանոն հոյսնու յիւսութուն ուցնեն, մատան մլուցնու-մարտու-  
մալուցուրնու. պարտու մերու ցոնուցում ամսէ յըկուրուր և  
սելութուցու սայմեն մարտուս ցոնուցուրնուն.

տաման մեցյուս միուրուցու աժրու գուրեռու, մուրու դրուս  
մուս մամուրաւ. մարտացա սայարտուցուրու. Ծածրս. տամարու մոբո-  
դուլուցու մուցու, մաս յատեռուցու գարուաման, մացրամ ոգու արա  
նուրութուն. մամուս տեռցնան յարուր մամուրաւ կտեռու յատեռ-  
ուցու, տամարմա Մյուսմունա մատու տեռցնա, մալու սայմիրու հոյսու-  
տուս մեցուս անդրու ծոլուլունիս յայու մուրոցանես և մանու ըայուրնու  
հայուրնուն, մացրամ մատու ուրու-յմիրում մուրու եանս դառն  
իս, ոգուն. մալու յանյուրնուն գանյուրնուն հոյսու յուրացու սաբամնուս յա-  
ւայու, ոյ ծերմցնու. միմըրնուրուս Մյուրուս. տեռցուր չարու  
մուրու, Եազալ սայարտուցուն և տաման մեցյուս Մյուրու մեցու-  
ր մեցու յազմուցուրու, մացրամ ծերմցնուն դասմարտու քան մուսըս,  
ոգու մոցուր մանոնքը յարտուր յըկուրնու, (արբանու ուլյո) ոյա-

ური ქართველების ზოგიერთი მთავრები შიიმხრო და თაშარს  
ომი დაუწყო, მაგრამ იგი მალე იქმნა ძლეული, საქართვე-  
ლოდგან გააძევეს, ამით გათავდა თამარის საქმე.

თამარ მეფე ერისა და დიდებულთა თხოვნით დიდუბის  
ყველა წმიდის ტაძარში დაგვირგვინდა. დანიშნულს დღეს  
დიდი ხალხი შეიკრიბა. ეკლესიაში დაიწყეს წირვა და გალო-  
ბა, მგალობელნი გალობდნენ შესანიშნავის იმ დროის გა-  
ლობით. გვირგვინის კურთხევის შესრულების დროს, თამარ  
მეფესთან მიბრძანდა ქუთათელი, მთავარ ეპისკოპოზი, ანტონ  
საღირის ძე, კაცი თავის დროის კვალათ მაღლის სწავლით  
შემოსილი, ამან დაადგა თამარ მეფეს თავს გვირგვინი. შემ-  
დგომ ამის მოილეს ხმალი: ვარდანის ძემ, ამანელის ძემ და  
სხვათა შემოსეს თამარ მეფე. ამავე დროს, სამეფოს მხნეობ-  
ბისა და ერთგულობისათვის დალოცეს დიდის დიდებით კა-  
ხაბერი კვირიკის ძე ერისთავი რაჭისა და თავკვერისა, წირ-  
ვაზე შეაქეს ქართველთ მღვდელ მთავრებმა, მათ ადიდეს დი-  
დებული თამარი, მელექეცებმა აქეს ლექსებით თამარ მეფეს  
ქუა და გონიერება.

ამ დღისთვის და შემდეგაც დიდუბეში იკვლოდა დღეში  
ათასი ცხვარი, ძროხა, ხბო, თხა და გარეული ნაღირი, კარ-  
გათ მომზადებული საქმელები მიერთმევოდათ სტუმრებს და  
მოწვეულთ უცხოთა, ამათ გარდა ყოველ დღე ურიგებდნენ  
საჩუქრებს, მისმა უხვმა საჩუქრებმა დაამდიდრა ლარიბ-ლატა-  
კნი. ობოლ ლატაკებთ მიუჩინა გამზღველნი, პოხუცებულთ  
მათხოვართათვის გააკეთებინა სამადლო სახლები. გააკეთები-  
ნა უცხოელთ მოგზაურთათვის სასტუმრო სახლები, ქარვას-  
ლები. ერთის სიტყვით თამარ მეფე სრულის სიუხვით მიე-  
გება დაგვირგვინებას. მაშინ თურმე დიდუბის ეკკლესია დი-  
დი ეკლესია ყოფილა; მიტომ დაგვირგვინებულა აქ, რომ  
ყველა უმაღლესი პირი მოთავსებულიყო ეკკლესიაშით. შემ-  
დგეგ საუკუნოებში ეს ეკლესია მტრისაგან მთლათ დაიკცა,  
მერე დაქცეულის ნაშთები უამთა მიმდინარეობის ქარმა წვი-

მამ და სეტყვაშ სრულიად მოსპეს, გააქრეს სამუღამოთ. ამ ეკლესიის ალაგას შემდეგ აღვებულ იქმნა პატარა ნიში, რომელზედაც ამ XIX საუკუნეში აღაშენეს ახალი ტაძარი.

დაგვირგვინების შემდეგ თამარ მეფემ დიდი ყურადღება მიაქცია სამეფოს საქმეებს, ჯარის ცხოვრებას, ხალხის საჭიროების გაცნობას, ეკლესიების შენებას, არხების გაყვანას, სასწავლებლებმა ერთჯ ათად იმატეს, კარგ ათ გაჩალდა ქართული მწიგნობრობა, გამოვიდენ შესანიშნავი შოთა რუსთაველი „ვეფხის ტყაოსნის“ დამწერი, იოანე შავთელი, ფილოსოფი; გრიგორ ჩახრუხაძე, დავით საათაბაგოელი, „ვისრამიანის“ მთარგმნელი, სარგის თმოგველი „დილარიანის“ დამწერი და ზოგიც სხვანი სამხედრო და სასულიერო გვამნი, შოთა რუსთაველმა „ვეფხის ტყაოსნი“ საქართველოზედ დაწერა. როგორც როსტევან მეფეს თინათინის მეტი სხვა შეილი არ ჰყავანდა, მან დააგვირგვინა თინათინი მეფედ, ესევე იყო თამარიც. ამის მამას თამარის მეტი სხვა ძე არ ესვა. როსტევან მეფე—გიორგია, არაბეთი—საქართველო. თინათინი-თამარი, ინდოეთი-იმერეთი, ქაჯეთის ციხე—ახლანდელი ქაჯეთის ციხე, ქაჯელნი-სამცხელნი. ხატაველნი-ოსები.

თამარ მეფეს სამეფო მოვალეობის გარდა მეტათ კარგად ჰქონდა შესწავლილი ხელ საქმეც, სამეფო საქმეების გარჩევის და განბჭობის შემდეგ იგი ჰქონდა და ჰქარგავდა, სხვა და სხვა სამღვდელმთავრო სამოსს, უმეტეს ეპისკოპოზების სამოსს ჰქარგავდა, მერე მათ ეპისკოპოზებს სწირავდა. მისის თითებით შეკერილ და მოქარგულ დაფარნებით სავსე ყოფილი ძველათ საქართველოს დიდონი ეკკლესიები. დღევანდლმდე იხილვება სურათი მისის გულსაკიდის ჯვარისა, ქართული წერაც ქარგვასაებ სკოდნია, მისგან დამტკიცებულ-სიგელ გუჯრებმა ჩვენ დრომდინ მოაღწიეს, ამ გუჯრებზე თამარ მეფე განსაცვიფრებელის ოსტატობით აწერს ხელს, სულ ორს ასოში იხატება მისი სახელი—თამარ მეფე. თამარ მეფის საბეჭნიეროთ, მის მეფობის დროს, შეესწრნენ მეტად ჰქვიანნი

და ბრძენ სამეფო ქართველო გამგენი. ეს პრინი იყვნენ თა-  
მარ მეფის მარჯვენა მკლავნი. ამათმა უზადო მოქმედებამ, სა-  
მეფო საქმეების ღრმად ჩაკვირვებამ ქართველთა შინაურსა და  
გარეულს საქმეებს მეტათ კარგი, სრული, დიადი მიმდინა-  
რეობა მიკცეს. ასეთ პირებს ეკუთვნოდნენ ზაქარია მხარგძე-  
ლი, ივანე მხარგძელი, ვარაშ გაგელი, შალვა ჭორელი და  
სხვანი.

ამათმა ძლიერმა მკლავმა და მიწის მგელობამ საქართვე-  
ლოს მისცეს თვის ადგილებთა სიმტკიცე, სამეფოს სამფლო-  
ბელო ადგილების შემოხაზვა, ამათ განავრცეს და მტკიცებუ-  
შემოფარგლეს ქართველთა მიჯნები, გაოხრებული ჰაოსიანთ  
ქალაქებიც ამათ დაუკავშირეს უფრო მტკიცეთ ქართველებს,  
ქართველ მეფეთა სამახსოვროთ ანში რამდენიმე ქართველთა  
ეკლესიებიც აღაშენეს. რომლებმაც შემუსრეით ჩვენ დრომ-  
დისაც მოაღწიეს. ერთ ამ გმირთაგანი სარწმუნოებით მართლ-  
მადიდებლობას დაუკავშირდა, რადგანაც იგი გრიგორიანი იყო,  
ამ გარემოებამ ჰაოსიანთა და ქართველთ შორის განხედვილე-  
ბა. ჩამოაგდო, მაგრამ თამარ მეფემ ეს მალე დააწყიარა მაინც  
უნდა ესთქვათ, რომ ზაქარია და ივანე მხარგძელნი სარწმუ-  
ნოებით იყვნენ გრიგორიანი, თორემ გვარ-ტომობით, ენით  
და ხასიათით ნამდვილ ქართველები იყვნენ. ამათხავე დროს,  
ქართულს მწიგნობრობას გარეშე ბრწყინვალეთ მოქმედებდენ  
ივანე შავთელი, კაცი ფილოსოფი, მაღალის გონების მექონი.  
გრიგორ ჩახრუხაძე, კაცი გამოჩენილი გამგე და მოსე ხონე-  
ლი, ამირან დარეჯანიანის დამწერი ჭკვიანი მოხამართლე და  
რამდენიმეც სხვა სასულიერნო პირნი.

ამათ დროს საქართველო ირიცხებოდა რკინის პალოდგან.  
დარუბანდამდე, თფილისი მაშინ სამეუფო ქალაქათ ითვლებოდ  
და, მცხეთა საკათალიკოზო. დედა ეკლესიად, კათალიკოზი  
ცხეთაში ბრძანდებოდა, ტფილისში თფილელი მიტროპოლიტი  
განაგებდა. თამარ მეფეც უმეტეს ტფილისში სცხოვრებდა.  
განვლო დრო-უამშან და ქართველო დიდებულთა შორის დაი-

ბადა თამარ მეფის გათხოვების აზრი. მალე დანიშნეს კრება, თათბირი ჰქმნეს და გარდასწყვიტეს თამარ მეფის მეორე ქმარზე. გათხოვება, მოციქულათ მიუგზავნეს მამიდა—რუსულან დედოფალი, ამან აუწყა. თამარ მეფელ ერის წაღილი და თვა-თაც დაავალა გათხოვება, თამარ მეფემ შეისმინა მაძიდის რჩე-ვა, გათხოვებაზე თანხმობა განაკვადა. სასიძო მალე გამოსხნდა, ეს იყო ოსეთის მთავრის შვილი—დავით სოსლანი.

დავით სოსლანი თავის დროის კვალათ განვითარებული პირი იყო. იმ დროის ოსები მთლათ ქრისტიანები იყვნენ, მათში გავრცელებული იყო ქართული ანბანი, ქართული წიგ-ნები, იგინი მაშინ მკაფიოდ ქართველობდენ, შემდეგ კი უბე-ლურმა გარემოებამ და უამთა ვითარების პირობებმა ოსები. გაათათრა, განათლების წარმატებას მოაცილა, უკანასკნელ იგინი გადასხვაფერა. დავით სოსლანი იყო იმ დროის ერთ განვითარებულ მთავართაგანი, გვარად ესეც ბაგრატიოვანი, ძველი შტო და მომავალი თვით თამარ მეფისა, დავით უკა-ლაფრით მოსაწონი ყოფილა, თანხმობის შემდეგ ქორწილი მალე მოხდა, ქორწილი დიდუბის ეკკლესიაში მომხდარა, რად-განაც ამავე ეკკლესიაში დაგვირგვინდა. ამ დაგვირგვინების სახსოვრად იოსებ დავითაშვილმა სახალხო კილოთი სოჭვა შემ-დეგი ლექსი:

„საქართველოს დედოფალი, დედა ქართლისა თამარი,  
სიმშევნიერით მოსილი, ამომავალი შეის დარი,  
დაფილ სოსლანის მეუღლე, რომელს უშმებეს მან მხარი  
დიდუბეში იქორწინა, სადაც რომ საყდარი არი,  
ასი სეული ცხეყარი დაჭველა და თრასი ჩიძა სარი,  
ქვრივ თბელების უწყალობა თქოთ, გერცხლი დიდი ძალი,  
სიბრძნით სიუსვით ქებული, დიდის ცისკარი სადარი,  
ის მხათაძი ქვეუნიური, მეგდარიც გერ გბოვეთ სად არი?“

ქორწილის შემდეგ თამარ მეფემ დიდი წყალობა გასცა დარიბებზე, როგორი მოწყვლეც თამარ მეფე ბრძანდებოდა,

სწორეთ ისეთივე აღმოსჩნდა დავით შეფერი, ამათ ქართველთა შორის დაამყარეს მშეგიღობიანი წესები, ურჩნი დაამუხლეს, მჩაგვრელნი ალაგმეს, სამეფოს საქმეები ოსტატურათ განაწყეს, კველა სახელმწიფოებთან ოსტატურათ იწყეს კავშირი, უმეტეს ამათ კურადღება მიაქციეს დასავლეთ სამხრეთ საქართველოს კუთხეებს, ოლთისისკენ, ყარსის, ერუშეთის (არდა-განის) და სხვა ასეთ კუთხეებში მრავლათ წყეს ციხე, კოჭხიდების გაკეთება, მათგან გაკეთებული ხიდები აჭარა, ლივანი, შავშეთში დღესაც მრავალია, ხალხი ამბობს, რომ იგი თამარ მეფის ნაკეთებით, ამათ იცოდნენ ამ კუთხეების მნიშვნელობა და მიტომ მიაქციეს მას კურადღება, პირველად თამარ მეფეს ამ კუთხისაკენ მოუხდა ომი ნუქარდინთან, ნუქარდინ ძლეულ იქმნა. ამაზე გამოითქვა შემდეგი ლექსი გადასხვაუერებით:

„თამარ შეფერ და სონითქარი, მაღალშია ღმერთის წაჭერიდა, ზედებში ჩაუშო ხომალდი, ზედ ალმასებრი დაჭერიდა, ზედ დასხა ქართველით დაშეჭრი მრავალ წესების დაჭერიდა.“

ნუქარდინის ომის დროს, ქართველებმა იძოვნეს ერთი ძველებური „კარაბაღიმი“ ორაბულს ენაზე ნაწერი, ნუქარდინის ჯარის ექიმს ჰქონდა ეს „კარაბაღიმი“, ჯარში თან წიმოლებული. თამარ მეფემ დიდი კურადღება მიაქცია ექიმობას, ეს „კარაბაღიმი“ ათარგმნინა ქართულად, გაამრავლა ექიმები და დოსტაქრები, „წამალხანები“ და საექიმო წიგნები, სეთის დიდების სამახსოვროთ ლექსი სთქვა, იმ დროის ბრძენ გრიგოლ ჩახრუხებემ:

„თამარ წენაწირი, შესაწენარი,  
ხმა ნარ-ნარი, ზირ მცინარი;  
მზე მცინარი, სანინარი,  
წენარი, მთქნარი მთმდინარი,  
შისთვის ქნარი, რა არს ქნარი  
არსად მთქნარი, უნინარი;“

ეარდ შამბანური, შამბ-შაღნარი,  
დაწე მწყაზარი, ჰირ მცინარი“.

ჩევნი „ქართლის ცხოვრება“ ამავოდ, აღვილად არ მოგვი-  
თხრობს, რომ თამარ მეფის მშეენების და კაცთათვის კარგი  
საქმეების ცნობების აღწერა მეტათ ძნელია, შეუძლებელიო.  
ამასვე მოგვითხრობენ თვით თამარ მეფის მელექსენიც, ბევრს  
ლირსებასთან თამარ მეფეს, მეტათ კარგი მომთხრობელი ენა  
ჰქონია, შესანიშნავი მეტყველ მქადაგებელი ყოფილი, ამა-  
სვე ასაბუთებს იმ დროის ივანე შავთელის ეს სიტყვა ლექსალ:

თვალი ჩარ ბრძათა, თვით შზრდელი ყმრთა;

შშიერთა შური, უსახლ-სართული,

შამა თბოლოთა, მსაჭული ძრიგთა,

შაშედთ სამთსლად მოფლინებული

მოსუცებულთა; ჭრით რებულთა.

სიმტკიცის კვერთხად შისაყრდნობელი.

შოგვიჯნ სიბრძნესა, წერთვთ სიღრმესა,

თვით განკვიმარტებ მაღლთა მთხრამელი.

თამარ მეფეს ვარგით იცნობდნენ და ოქებდენ: ბერძნე-  
ბი. თათრები, ფრანგნი, რუსნი, სომხენი, ჩინელნი, ეგვიპ-  
ტელნი, ჰინდნი, სლავიანთა ტომნი და მრავალიც სხვა ტომ-  
თა ძენი. თამარ მეფის სახელს ყველგან ქემით ისხსენიებდენ,  
ამის სახელს ამოსკრიდნენ დანებზე. ხმალს-ხანჯალზე, საეკ-  
ლესიო ნივთებზე, კურკელზე, სახლის კარებებზე, ყვავილი-  
ანის ასოებით, ძვირფის ნივთებზე, ხალებზე და სხვაგან. ქარ-  
თველნი ამოსკრიდნენ უფრო შოთა რუსთველის შემდეგ  
სიტყვებს:

„აამარს გაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემდ დათხეული.

ეის შექნის დომსა ხმარება შებისა, ფარ შიმშერისა,

მეფის შეხისა თამარის, დაწე-მაღასტმ თბა გიშერისა“

თამარ მეფე ხშირად ხედავდა ქართველთ ლაშქორთა,  
მას სამურამო მორიგი ჯარის ჰყანანდა „კაცი თოხ-ატი ათასი“

ჯარს. ინახავდენ კარგათ, ჯარის კაცთა სამსახური დროებით იყო, მათ ეძლეოდათ კარგი საჭმელ-სასმელი, მიტომაც სძლევდენ იგინი მტერს. ყველა ჯარის კაცს იგი შვილს ეძახდა, ყველა ჯარის კაციც მას დედას უწოდებდა. დავით სოსლანის ხელში თამარ მეფეს მიეცა ორი შვილი, ერთი ქალი, რომელსაც მამიდის სახელი — რუსულანი უწოდა, მეორე ვაჟი, ლაშა-გიორგად წოდებული, ლაშა აფხაზურს ენაზე ბრწყინვალეს ნიშნავს. ორის შვილის მიცემის შემდეგ თამარ მეფებზ თავის ქარს მიმართა და ასე უთხრა.

„რაც საჭირო იყო ჩვენთვის, ის მე უკვე მოვეცი ჩვენს ქვეყანას. დღეის შემდეგ ლოგინი ჩემი შეუგინებელ უნდა დაშთეს, დღეის შემდეგ მე ჩემის ლოგინით თავისუფალ უნდა ვიქმნე“. ქმარმა შეისმინა თამარის თხოვნა, მას შემდეგ ლოგინი მისი დარჩა განმარტოვებულ. ამ გარემოებამ ბრძენ ქართველ სამღვდელოთა წინაშე დაბადა აზრი, რომ თამარ მეფე სიკვდილის შემდეგ ქართველთა წმინდანათ უნდა ჩაითვალოსო, ჩათვალეს კიდეც, მაგრამ შემდეგ კი მივიწყებულ იქმნა ეს მრავალთაგან. თამარმა დიდი ყურადღება მიაპყრო მთიელ ხალხთა ცხოვრებასა, მათში გამრავლა ეკკლესიები და სკოლები, განამტკიცა ქრისტიანობა, ლეკებში მთლათ მოსპო კერპობა და გააქრიციანა ყველა, აუშენა მათ ტაძრები, ეკკლესიები; დივნილს სომხებს მხარს უჭერდა, ყველას ქომაქი იყო, ყველა ქრისტიანი სიხარულით უმჩერდა, აფხაზებშიაც ერთი ათათ წინ წასწია განათლების საქმე, დახსნუ სკოლები, წერა-კითხევა დიდის პატივით შეიმოსა აფხაზთაგან.

არც ოსეთი დასტოვა უყურადღებოთ, ოსებსაც დიდი სამსახური გაუწია, იგინი განვითარების გზაზე დააყენა, დახსნა მათში სასწავლებლები, მონასტრები და ეკკლესიები. თამარ მეფის რჩევითვე ტრაპიზონში დაარსებულ იქმნა ბერძენთა იმპერიის მფორდე ნაწილი, რომელსაც ყურადღება უნდა შიქცია ტრაპიზონს იქეთ და აქეთ შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქთა და დაბა სოფლებში მცხოვრებ ბერძენთათვის,

რომ მათ თვის საქმე არ გასჭირებოდათ, რადგანაც ბერძენთ-  
რიცხვი აქეთაც დიდი იყო და მეორე, ბერძენთა ძლიერება  
ქართველთათვისაც კარგი იქმნებოდა, რადგანაც თამარ მეფე  
იყო შეტად ძლიერის მღლობაზე, შასთანვე ბევრის უძაგალითოს  
თვისებით აღვისილო, მას თავის სიკეთე და შრომა არავის-  
თვის არ შურდა, საშეფლს და ერის დიდის სამსახურით იგი  
დიდათ ამაღლდა, მისი ამაღლება იყო საქართველოს დაწი-  
წაურება, საქართველოს დაწინაურება გახდა თვით ქართველი  
ერის სიძლიერეთაც, ასეთ დაწინაურებულ ერის მეფეს უფრო  
დიდი შრომა და სამსახური უხდებოდა, დიდის შრომისაგან  
იგი შალე მოუძლიურდა და ჯერედ ისევ ხანში არ შესული  
გარდაიცვალა 1212 წ.

ამის გარდაცვალების ცნობა მთელს საქართველოში  
მოიფინა, ქართველთ გარდა, სომხებმაც მწარედ იგლოვეს,  
რადგანაც სომხეთი ამ დროს დაცემული იყო, მის ერი გან-  
ბნეულ-დეკნილი, მაჰმადიანები სასტიკად სტანჯავდენ, თამარ  
მეფე დიდათ მფარველობდა მათ. მიკუვალების გაშო ქართ-  
ველთ ძლიერება-მთავრებმა წარმოსთქვეს შესანიშნავი სიტყვა-  
ნი ქადაგებათ და იამბიკონი ლექსათ, მეისტორიეთა აღწერეს  
მისი ბრძნული ცხოვრება დადის პატივის ცემით. მელექსეე-  
ბმა წარმოსთქვეს მშვერიერნი სამგლოვიარო ლექსი და ქება-  
თა-ქებანი. დასაფლავების დღე დანიშნეს, თფილისიდგან დი-  
დის აჭმით და საერთოს პატივსცემით ცხეთას მიასვენეს, დრო-  
ებით იქ დაასცენეს, როცა ხალხი მოგროვდა და შესრულდა  
მთელი მხვედრი, მერე მცხეთის ტაძრიდგან წასვენეს იმე-  
რეთს, გელათის ტაძარში და იქ დაასაფლავეს, თავის მამა-  
პაპის ახლოს. ამის გარდაცვალების შემდეგ დროებით შმართა  
რუსულან დედოფლალმა, მისმა მამის დამ, მაგრამ ლაშა გიო-  
რგიც მალე გამეფდა. თამარ მეფის გარდაცვალება იგლოვეს  
ნამეტურ სნეულთა და უძლიურთა, რომელთა დადს ქომაგა-  
თაც ბრძანდებოდა. თამარი თუ რამოდენად ძლიერი იყო  
და რამოცლად პატივცემული ქართველთაგან, ამას გამოა-

ჩენს შემდეგი ამბები, რომლებიც ხალხშია ზეპირ დარჩენა-  
ლი.

თამარ მეფეს დიდათ უყვარდა, საჭართველო, მაგრამ თა-  
ვის სიყვარულს არც სხვა ქართველებს აკლებდა. ნამეტურ  
ხშირათ დაბძანდებოდა ხოლმე ბათუმის ახლო მახლო, ამი-  
ტომაც არის რომ აჭარელ-ქობულეთელ გათაორებულ ქარ-  
თველებს დღესაც კი ახსოვთ თამარ მეფის ცხოვრების ცნო-  
ბები. ეს ცნობები მათში ვერაფერს მუსულმანურს შახვილს  
ვერ ამოუგდია. დღესაც უკვდავათ ასენებენ თამარ მეფის  
სახელს. ძველათ, ქობულეთელს, ქართველ მაჰმადიანს. ბეჭა-  
ნის ძეების ერთს წევრთაგანს გამოუთქვამს შემდეგი ლექსი:

„ათასი ქაბა ემა მუჯანდა, უველანი თქროს დილითა,  
გაჭმევდი დედალ ხოხომსა, გასომდი ბროლის ჭიქითა,  
ვინც რომ შემება შევები ალალითა და ჭიქითა,  
აწი თქვენ იცით მეფებოთ, ვინც დარჩით ამას იქითა“

ეს ლექსი ქართველ მაჰმადიანებმა ზეპირათ იციან, მათ  
ძლიერ უყვარსთ თამარ მეფის ცხოვრებიდგან საუბარი, ამის  
მიზეზათ იმ გარემოებას იღიარებენ, რომ თამარ უმეტეს ბა-  
თომისკენ ცხოვრობდათ. თვით ლექსის გამომთქმელის ბეჭა-  
ნისძეების ძველნი იწოდებოდენ პირმსახურის ძეთ. პირმსა-  
ხურათ ჩვენში თამარ მეფეა მხოლოდ ხმობილი, ამბობენ,  
აჭარაში ბეგები—ბეჭანიძეები, რომ დიახო, დღევანდელი ბე-  
განისძეებთა ძველნი თამარ მეფის მსახურნი ყოფილიანო.

ქართველი შლაბით ხალხი ლაპარაკობა. რომ თამარ მე-  
ფის საფლავი დაკარგულიათ. ზოგნი ამბობენ ვარძიაში ასა-  
ფლავიათ. ზოგნი ამბობენ მცხეთასო, ზოგნი ამბობენ რიგა-  
ში, ერთს კლდის გამოქვაბულს კუბოში ასვენიათ, ეს ამბავი  
ერთმა ტვინით ავათმყოფმა აინიეა და მის გამო მკითხაობაც  
დაიწყო, ტვინით ავათმყოფმა კინალამ მთელი ქართველთბა

აიყოლია და თამარ მეფის საფლავი რაჭის ერთს გამოქვაბულში იძებნინა, მავრამ ეს არ არის მართალი

თამარ მეფე ასაფლავია გელათში, დავით აღმაშენებლის ახლოს.

ამ ტყუილ ამბების გავრცელებას დაეხმარა ის გარემოება, რომ თამარ მეფის დასაფლავების შემდეგ, ქართველთა მტერთა თავ დასხმის მეოხებით გელათი რამდენგზისამე იქმნა აოხრებული, აოხრებული ისე, რომ ეკკლესიაში იატაკის ანუ საფლავის ქვებიც აღარ დარჩენილი მთლად. ნელნელა საქმე ისე მოეწყო, ქართველთა ცხოვრების საქმე ისე გაუჭირდათ, რომ მათ აღარ სუალოდათ მეფეთს საფლავების პატრიონიბა, მათ საქმეს უჭირებდა თვით სიცოცხლის დაფარვის მზრუნველობაც. მათ მიივიწყეს მრავალ მეფეთა საფლავები მიივიწყეს თვით თამარ დელოფლის საფლავიც, რადგანაც საფლავის ქვები აქა იქ ეკკლესიებში შემუსყრილ იქმნენ. ხალხმა მიივიწყა, მაგრამ ისტორიის მწერლებმა კი არ დივიწყეს იგი, მათ მაშინათვე დასწერეს „ქართლის ცხოვრება.“ ში, თუ სად დაკრძალეს გვამი, თამარ მეფისა, ეს ისტორიული ცნობები მდაბიო ხალხისათვის მაშინ სულ არ არსებობდა, მათში წერა კითხვა დაცემული რყო, იგინი ვერას წაიკითხავდენ და მაშასადამე ვერც არაფერს რიგიანად შეისწავლიდენ. ამ უკან ვრდომილების მეოხებით ქართველთა მდაბიოს სამუდამოდ მიავიწყდათ თაშარ მეფის საფლავი; ნამეტურ ქართლის გლეხში არც გელათი იცოდა, არც კიდევ სხვა ასეთი შორი კუთხეები, რომ: მას მის მეოხებით რამე სუოდნოდა, საღმე მისულიყვნენ და თამარ მეფის საფლავის ამბავი ან ამოეკითხნათ, ან ეისგანმე ზეპირ ნაამბობი მაინც გრელოთ და გონების კვალად დახსომებოდათ რამე. ამის ძალა მათ არ ჰქონდათ და ამიტომაც მათ თავიანთის ხსოვნით თამარ მეფის საფლავიც დაკარგულათ გაფრცელეს, მაგრამ ეს რა არის მართალი.

თამარ მეფე გელათში ასაფლავია, იქ არის ამის საფ-

ლავი, ამასვე გვიმტკიცებს „ქართლის ცხოვრება“-ც უმეტეს ეს მისი ბრალიც არის, რომ რაც ერთის თავობისაგან და- ვიწყებას ეძლევა, ის შემდევ თაობისათვის საზღაპროდ ხდება.

მურლულში, ართვინის ოლქის ქართველ მაჰმადიანები ლაპარაკობენ შემდევს:

— თამარ მეფე მურლულში ასაფლავია.

მხოლოდ სადა, ეს კი არავინ იცის, ყველა კი იმას ამ- ბობს, რომ თამარ მეფე აქ ასაფლავია. ზოგნი ამბობენ:

— ვინც თამარ მეფის საფლავს ფეხს დაადგამს, ის მა- შინათვე გაგიუდებაო.

მაგალითებრ: ერთ სალამოს, მის საფლავზე დასძინებია ერთს მწყემსს, გათენებისას ამდგარა, მაგრამ იქვე გაგიუდებუ- ლა, გაგიუდების შემდევ იგი ტყეებში დადიოდა, დღე და ღა- მეს იქ ატარებდა, ტყის გარეული სასტიკი ნადირი, არას ერჩოდა. ბევრჯერ ჰკითხა მას ხალხმა:

— ბიჭი, აბა გვიჩვენე ის ადგილი, საცა შენ დაგეძი- ნა, რომ ჩვენც ვნახოთ, ოდესმე ჩვენებსაც არაფერი და- გართოსთ.

ბიჭი ვერაფერს პასუხს იძლევადა, რადგანაც მას ის ად- გილი კარგად აღარ ახსოვდა. რამდენიმე ხნის შემდევ, ეს ბიჭი თამარ მეფის საფლავთან ზღვთის ბრძანებით მისულა, იქ გახერხებულა და თამარ მეფის საფლავისათვის პატიობის მუდარება დაუწყია ას:

— დიღო მეფეო, მაპატიე, შემინდე ჩემი დანაშნული, შემიბრალე, კარგათ გამხადე.

ასეთი ხვეწნა თამარ მეფის საფლავს შეუსმენია და ის მწყემსი მაჟინათვე კარგად გამხდარა. ხალხს მიუმართავს მწყემსისათვის და უკიოწვთ:

— აბა, გვიჩვენე ის ადგილი, სადაც გეძინა, სადაც გა- გიუდი და სადაც ბოლოს მორჩი, რომ ჩვენც მივიღეთ და ვილოცოთ.

მწყემსს ველარ მოუჯონია, დავიწყებია, ისე რომ იმ ალაგის მხრის მოსაზრებაც კი ვერ შე ძლებია.

იქვე, მურლულში, ამბობენ შემდეგს:—თამარ მეფე ირ მომკვდარა იგი ცოცხალია, ოქროს კუბოში ასვენია, ისკუბო ერთს გამოქვაბულს კლდეში დგას და თავუეხით უქრობელი სანთლები უნთია, ის როდისმე აღსდგება, ისევ მობრძანდება მურლულშიო.

კარჩხალის მთის ახლოს, სოფელს ბაძგირეთთან, საიდგანაც აჭარა მაჭახლით შავშეთის გზა გადის, მის მახლობლად არის ერთი აღგილი, რომელსაც სახელად ნინო წმიდა ეწოდება, ამ იღვილის მახლობლათ არის ერთი მშვენიერი ხეობა, მრავალ ნაირის ხე და ყვავილებით სავსე, ცივის წყაროებით უხვი, ამ ხეობას თავის საკუთარი სახელი არა ეწოდება რა. ადრე, მაჭახლელებს ამ ხევში უნახავსთ ერთი ქვის კუბო, ეს კუბო ერთს დიდს ქვაში ყოფილა ამოჭრილი, სახურავიც ქვისა ჰქონია.

მკეოვრებთ კუბოს სახურავი გარდუხდიათ და შიგ უნახავთ კაცის საოცარი დიდი თავი, ძვლები და სხეა-და-სხეა. ძვირფასი ჩარალი და ნივთები. მნახველო შეშინებიათ, ყველაფერი ხელ-უხლებლივ დაუტავებიათ, კუბოს ხუფი დაუხურავთ, ერთ ალაგას დაუმარხავთ, ზედ მიწა დაუყრიათ და სამახსოვროთ გარს ძეძვი შემოუკრავსთ. რაღანაც იქ მყოფთ ძველ გაცებს უთქვამსთ, რომ ეგ თავი, ძვლები და ნივთები თამარ მეფის ერთის გმირისა არისო, მისი შერყევა და დაძრა. თამარ მეფეს ეწყინებათ.

კარჩხალის მთის ახლოს, ერთს მთაზე, სჩანს ერთი დიდი ქვის მისაზელი, ძველად, ზოგნი ამბობდნენ, რომ თამარ მეფის ღროს, შავი ზღვა კარჩხალის მთამდის იყოვო, კარჩხალის მთის კალთებში შავ ზღვაში სჩანდაო, აქეთ რომ გები შემოდიოდა, მაშინ იმ გემებს ამ მთის წვერებზე აბამ-დენ და ამიტომ მას ხალხისაგან „გემის საბმელი“ სწოდე-

ბიათ. თვით ეს „გემებ-ს საბმელი“-ც თამარ მეფეს გაუკმოდია. ჟემდეგ დროებში ეს აღგებული მთა ისე გადასხვა-ფერებულა, ისე შეცვლილა, რომ დღეს იგი კაცის ხილვის დროს მდგომარეობის ეგონა და არა კაცის ხელით გაკეთებული.

თამარ მეფეს, ოსმალნი, ხშირად ეომებოდნენ, თამარ მეფე მრავალ გზის მოერდა მათ. ერთხელ შეუთვალია ასე: — გირჩევნიათ ჩემთან ქურდულათ ომს თავი გაანებოთ, თორემ ოდესმე დაგამუხლებოთ და დედა-კაცის ლეჩაქსაც თავზე დაგხურავთ.

ოსმალთ არ შეისმინეს ქართველთა განცხადება, თგინი კიდევ აფშალნენ თამარ მეფეს. ომი დაიწყეს, რასაკვირველია ისევ თამარ მეფე სძლია, საჭმალი ერთობ გაუჭირა ასემალებს. შალო მოლაპარაკებაზე ჩამოვარდა ტაპარაკა, თამარ მეფემ ასე შეუთვალია:

— მე, მოგირიგდებით იმ პირობით, თუ დღეის შემდეგ თქვენ დაიმუხლებით ხოლმე, ფესსაც (ქუდი) შუაზე ჩაკეცილს ატარებთ და თავზედაც დედა-კაცის მსგავს რასმეს შემოიხვევთ.

ოსმალთ მეტი გზა არ ქონდათ, პირობა ფიცით მისცეს. ომი შეჩერდა, ოსმალნი ძლიერნი წავდნენ დანიშნათ თავიანთის ფიცისა, მას დღეს შემდეგ ჩაკეცილ ფესებს ატარებენ, თავზე თეთრს ლეჩაქსიხევენ და მუხლდებიან კიდევცა.

თამარ მეფეს კარჩხალის მთაზე ცხოვრება დიღათ უყვარდა, ამ მთაზე ხშირათ დაბრძანდებოდა, აქედან დამხერდა მთელს დასავლეთ საქართველოს, მთელს შავ ზღვას. თამარ მეფის მამა-პაპასაც ძლიერ ჰყვარებია ამ მთასა და მთის კალთებზე ცხოვრება. ამრს მიზეზათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ დასავალით საქართველოში, ესმოა ყელა მთებზე მაღალია, გარდა ძმისა მთაზე ვაკეებულევრია, მასთან ყველგან ვრცელია, ასიანის მთასავებ.

ერთს ვაკეზე თამარ მეფის ბრძანებით გააკეთეს კარგი, მშვენიერი საჩეფო სახლი, ეს სახლი მეტაც კარგის გეგმის ყოფილა, ასეთი მშვენიერი სახლი უცხო სახელმწიფოებშიაც არ ყოფილა, ამ სახლის ქება მთელს ხმელეთზე მოფენილა, სწორებ ამ ძირფას სახლში ჩადგურებდა თამარ მეფე როგორ კი იგი აქეთ მობრძანდებოდა, ამავე სახლში იყო მისივე ტახტი და მდივან-ხანაც. სამეფო სახლის გაკეთების შემდეგ, იმავე ვაკეზე ქალაქიც გაუშენებიათ, მასთან კაი დიდი საყდარი. მაღვე ვაჭრობა, აღვა-მიცემაც გაჩაღებულა, რამდენიმე ხნის შემდეგ, თამარ მეფის ბრძანებით, იმავე მთის ახლოს, გაუშენებიათ ერთი კარგი ტბა და ამ ტბაში გაუმრავლებიათ თევზი, თევზი ისე გაუმრავლებულა, რომ იქ მცხოვრებთაც ჰყოფნილათ თურმე და სხვაგანაც გაპქონდათ. მაშინ კარჩხალის მთის სხვა სახელი ერქვა. კარჩხალი შემდეგ დარქმევია, ამბობდნენ ძველი კაცები, რთა მაშინდელ ამ ტბის ერთნაირს თევზსაც სახელით კარჩხალი უწოდეს, ამ ტბის ნიშანი დღევანდლამდე იხილვებათ.

კარჩხალის მთის ძირს, სოფ. უვფრატის ახლოს, ერთს მშვენირს ალაგას თამარ მეფის ბრძანებით გააშენეს ერთი დიდი მშვენიერი სასახლე. ამ სასახლეში გააკეთეს ერთი დიდი ლამაზი დარბაზი, შიგ მორთეს კარგის ძვლის ტახტებით, განჯინებით, კიდობნებით, სკამებით და მაგიდებით, ამ დარბაზის შახლობლივ სხვა ოთახებში დაწყობილ იქმნა სხვა-და-სხვა ძირფასის ტანთ-საცმელი, იარაღი და ვინ იცის რა გინდა რა, თვალით უნახავი, ენით დაუთვალესი, დაუფასებელი.

ვინც კი ქართველთაგან თამარ მეფეს ეახლებოდა, ის პირველიდ ამ სასახლეში მოვიდოდა, აქე ერთს ოთახში შევიდოდა, თავის ტანთ-საცმელს გაიხდიდა, სამეფო ტანთ-საცმელიც შეიმოსებოდა, იარაღში ჩაჯდებოდა და ისე იახლებოდა თამარ მეფეს. მეფის ხილვის და საქმიანობის შემდეგ

ისევ ამ სახლში მოვიდოდა, აქ გაიხდიდა სამეფო ტანთ-სა-  
ცმელს, იქ მყოფ გამგეს ჩააბარებდა, თავის ტანთ-საცმელს  
ჩაიცამდა და მერე დაბრუნდებოდა თავის სახლისკენ. ამ სა-  
სახლის მცველებათ თამარ მეფისაგან კაცები იყვნენ დაღვა-  
ნილნი, ესერი მიმსვლელთა და მომსვლელთ დიდის თავაზით  
და პატივის ცემით ეპყრობოდენ, თამარ მეფეს დიდათ ეხა-  
როდა, რომ ქართველი ხალხი კარჩხმლის მთაზე სიარულს  
ეწვევოდა, მასთან მოდიოდენ საქართველოს ყველა კუთხის  
ქართველნი, არც უცხოები აკლდებოდა: ოსმალ-სპარსი, ბერ-  
ძენ-სომეხნი და სხვანიც ხშირად მოდიოდენ, ყველას დიდს წყა-  
ლობას აძლევდა, მისგან ერთი კაციც არ წასულა, ისე რომ  
მეფის უხვი მოწყალება და თავაზი არ მიეღოს, ამბობდნენ,  
რომ მაჭახლელებს მაშინ აჩუქა საკუთრებათ მთელი მაჭახ-  
ლის ტყეები და ადგილებით. მაშინ გაჩნდენ თურმე მაჭახ-  
ლში კარგი ხმლისა და ხანჯლის მკეთებელნიო, ისეთი ხე-  
ლოსნები, რომ მაჭახელი სტამბოლშიაც კი იქებაო.

ერთ საღამოს, თამარ მეფე, თავის თანხლებულებით,  
ბონოვნებით და კარის კაცებით სამეფო სასახლიდან ერთს  
მშვენიერს მაღალს მთაზე აგიღნენ, იქ გაათიეს, ლამე, თამარი  
აქეთ იქით. იმზირებოდა. სოფ. ევფრატის ახლოს, ერთს აღა-  
გას, შენიშნა მან მშვენიერი შუქი, სამთლის მსგავსი, მაგრამ  
უმაგალითო. თანახლებლებს მიმართა და ჰკითხა:

— აბა, შეხედეთ, ევფრატისაკენ, რა მშვენიერი სამთ-  
ლის სხივი ანათებს.

ყველამ შეხედეს, კარგათ ნახეს ბრწყინვალე შუქი, ყვე-  
ლა გაჰკვირდა, ერთმანერთს ეკითხებოდნენ.

— ნეტა რა არის ეს ბრწყინვალე შუქი, რა ანათებს  
მას?

შუქი მეორე, მესამე და მეოთხე საღამოსაც შენიშნეს.  
ამას თამარ მეფეც კარგათ ამჩნევდა. ეს შუქი არც შემდეგ  
მოსპობილა, მხოლოდ ლამათ ანათებდა. თამარ მეფემ ერთ

ლამეს კაცები გაგზავნა და სტხოვა ნახვა იმ ადგილის, საღაც  
შუქი ანათებდა. კაცები წავიდნენ, ნახეს ის ადგილი, იქ ად-  
მოსჩნდა ერთი ქვა, რომელზედაც სჩანდა ის მნათოპელი  
სხივი, ხოლო რა ანათებდა იმ სხივს, ის კი ვერ შეიგნეს.  
წავიდნენ მალე და ცნობა თამარ მეფეს მოახენეს. ხანი გა-  
დიოდა, მაგრამ ის მნათოპელი სხივი კი მაინც არ ქრებოდა,  
იგი ოთხსავ კუთხით დიდი მანძილზედ ანათებდა.

მცირე ხნის შემდეგ, იქავ, ევფრატის ახლოს, სოფელს  
ხერთვისში, ეკკლესიის შენება დაიწყეს, შენჯის დაწყების  
პირველ დღეს, მუშაობის შემდეგ, ხელოსნებმა მუშაობას თავი  
დაანებეს და საღამოზე თავ თავიანთ სახლებისაჟენ წავიდნენ.  
გათენდა დილა, ხელოსნები მოვიდნენ აღნიშნულს ალაგას  
სამუშაოთ, მაგრამ იქ მათ აღარა დახვდათ რა; ნამუშავარი  
დაქცეული სრულიად და იარაღიც დაკარგული, დაიწყეს ამათ  
ლაპარაკი, ჩივილი თუ ეს ვინ დააქციაო, ან იარაღი ვინ მოი-  
პარაო, მაგრამ პასუხის მიმცემი არავინ იყო. მეორე დღეს  
მუშაობა მაინც დაიწყეს, საღამოს უამს საქმეს აუშვეს ხელი  
და თავ-თავიანთკენ წავიდნენ დასაძინებლათ. მეორე დღეს მო-  
ვიდნენ დანიშნულს ალაგას და ნამუშავარის და იარაღის მდგო-  
მარეობა იმ გვარათვე დახვდათ როგორც წინეთ, დაღონდნენ  
ამაზე იგინი, მაგრამ რას გააწყობდენ, ვერაფერს, ბევრის წუ-  
ხილის შემდეგ მუშაობას ხელ ახლა მიეცნენ, ეს ამბები თა-  
მარ მეფესაც მოხსენდა, დაღომდა დღე, ხელოსნებში მუშაობას  
თავი გაანებეს, იარაღი შესანახად დააწყეს, იმ ღამეს შენობას  
და იარაღს მცველიც მიუჩინეს. თვით შინ წავიდნენ დაიმედე-  
ბულნი, რომ ამაღამ აღარავინ რას გვიზამსო, რადგანაც აქ  
კაცებს ვაყენებთო. გათენდა დილა, წავიდნენ სამუშაოზე მალე,  
მაგრამ მათ დღესაც იგივე სურათი დახვდათ რაც წინეთაც  
ნახეს რამდენ გზისმე, ესენი გაჰკვირდენ ამაზე, ჰკითხავენ იქ  
ყოფილო ზიქებს:

— ბიჭებო, ჩვენი იარაღი რა იქმნა?

— რა ვიცით თქვენი ჭირიმეთ, ჩვენ შუხელის არ გვძინებია, და ვინ წაიღო, ამაზე ვერას მოგახსენებთ.

ხალხი გაჰკვირდა აშაზე, ესეთი შემთხვევები რამდენგზისმე განმეორდა, ხელოსნებმა ველარა გააწყეს რა, მოთმინებიდგან გამოვიდენ, კვალად აცნობეს თამარ მეფეს, თამარ მეფე ამაზე დაფიქრდა, ფიქრის შემდეგ ბრძანა:

— ხერთვისში, ეკკლესიის კეთება შეაჩერეთ.

ხელოსნებმა შეაჩერეს მუშაობა, მოცულილთ ხელოსნებმა აქვ იქ იწყეს სიარული, დაკარგული იარალის ძებნა, მათ ნახეს თავიანთ იარალი დაწყობილი იმ ალაგას, სადაც თამარ მეფე თავის თანხლებულებით მშვენიერ ნათლის სხივს ხედავდა. ეს ამბავი თამარ მეფეს ერთობ დროით მოხსენდა, თამარ მეფე მალე მიხვდა საქმის ვითარებას, ამიტომ ხერთვისის ეკკლესიის ადგილის სანაცვლოთ ეკკლესიის შენება დააწყებინა სწორეთ იმ ალაგას, სადაც იგი ბრწყინვალე შუქს ხედავდა ხოლმე. ხელოსნებმა მალე დაიწყეს აღნიშნულს ადგილის ეკკლესიის შენება, მაგრამ მათ აღარც არავინ კედლებს უქცევდა და არც იარალი ეკარგებოდათ, საქმე დაშოშმინდა ყოველისფერი კარგათ გამოირკვა.

ეკკლესია მალე აღაგეს, იგი შეამკეს ძვირფასის ნივთებით და თამარ მეფის ბრძანებით ამ ეკკლესიას ევფრატი ეწოდა, შემდეგ დროებში ამ ეკკლესიის სახელი სოფელზედაც გაღვიდა, თორემ ამ სოფელს წინეთ სხვა სახელი რქმევია. ეს სახელი ევფრატი იმიტომ დაერქვა იმ სოფელს, რაღანაც კარჩხალის მთის ძირობაზე იგი მეტათ შესანიშნავ კუთხეთ ითვლება, ყოველნაირს ლირსებით დაჯილდოვებულ, მაღალი მთები, ტყით დაბურებილნი, ცივი წყაროები და სუფთა ღელები, ათასნაირი ყვავილები, ფრანგელები და ბევრიც სხვა ასეთი ღირსება თაშარ მეფის წინაშე ამ ხეობას ღირს ხდიდენ ევფრატის სახელ-წოდების. თაშარ მეფემ ისურვა ამ კუთხის კარგის სახელის წოდება და მისის წყალობით ეს წოდება მას არც მოესპო, არ დაეკარგა. მან კანონიერათ მიიღო ეს სა-

ხელწოდება. დღესაც არს უვფრატი მაჭახელში და უნდა ითქვას, რომ იგი დაჯილდოვებულია ბევრნაირის ღირსებით.

ეკლესია აღაგეს, შეგამკეს ყოველნაირის ღირსებით და ნივთებით. ის სხივი ეკლესიის აღშენების შემდეგაც ჩნდებოდა ეკკლესიის ერთს კედელზე, რომელ კედელიც გაკეთებულიყო იმ ქვის ალაგას, სადაც პირველად ჩნდებოდა უქრობელი, ლამპარი. ძელათ თურმე ამ ეკკლესიას მთელი მაჭახლის ხალხი დიდის მოწიწებით სცემდა პატივს, მათ ახსოვდათ, რომ იგი ეკლესია თამარ მეფის ნაშენი იყო და მიტომ უფრო აღდებდენ მას. საქართველოს უბედურის მდგომარეობის შემდეგ, რაც ოსმალთა დასავლეთ საქართველო დაიმორჩილეს და ხალხი გაათათრეს, იმ დროსვე, გათათრება დაუწყეს მაჭახლელებს, ესენი მეტათ მტკუცედ იღვწოდენ თათრების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს მაინც საქმე გაუჭირდათ, ძლეულ იქმნენ, ამ ძლევის შემდეგ კი მუსულმანებმა მედგრად უწყეს დევნადა რამდენიმე ხნის განმავლობაში იგინი გაათათრეს მთლად, მაგრამ მაჭახლელები საიღუმლოთ მაინც ქრისტიანობდენ. შინათ გამცემთა მეოხებით ეს ამბები ოსმალებმა შეიტყეს, მათ სასტუკად სდევნებს მაჭახლელები და უკანასკნელ ეკკლესიების ქცევა ნგრევაც დაუწყეს, საქმე როცა ევფრატის ეკკლესიის დაქცევაზე მივიღა, მაშინ მაჭახლელებმა აღარ მოითმინეს და პირდაპირ მიმართეს თათრის ბრძანებელს ასე:

— ჩვენ, თქვენს ბრძანებას ყველასფერს შევასრულებთ, ოლონდ ერთი ამას გთხოვთ, რომ ევფრატის ეკლესიის დაქცევის დროს ერთი კედელი არ დაგვიქციოთ.

— რომელი კედელი? ჰყითხეს ბრძანებლებმა..

— სამხრეთის კედელი, რადგან აც ამ კედელზე, აღრე, სამთელი ენთებოდა და ამ სამთელს თამარ დედოფალიც ხელავდა ხოლმე.

ოსმალთ შეისმინეს მუდარება, დააჭურიეს მთელი ევფრატის ტაძარი, მხოლოდ არ დააჭურიეს ის კედელი, რომლის მფარველობაც მაჭახლელებმა დაავალეს. მას შემდეგ მაჭა-

ლექლთა მოხუცებულნი ხშირათ შეიკრიბებოდნენ ამ კედელთან და ცხარეს ცრემლების ღვრით სტიროდენ თან ლოცულობდენ. იგინი ევედრებოდენ ღმერთს, რომ ის კედელიც არ დაქცეულიყო, რომელზედაც მათი მამა-პაპა ოდესმე მღვთიურს ბრწყინვალე შუქსაც ხედავდა. ერის წმინდა საქ-ციელი და მიღრიკილება იქამდის დიდის ძლიერებით იყო სავსე, რომ დღევანდლამდისაც კი ევფრატის გვლესის ერთი კედელი დაურღვეველი სდგას ობლათა-ეს კედელი მეც ვნახებ. მაჭახლელები ამბობდენ, რომ თამარ მეფე კარჩხალის მთაზე გარდაცვლილა და იქვე დაუსაფლავებიათო.

მღვთისაგან კურთხეულის და ამაღლებულის საქართველოს ლირს შესანიშნავის დედოფლის თამარის შამამ, დასავ-ლეთ სამხრის საქართველო აშიერ საქართველოს შემოუერთა, გამის ანდერძის ძალით, თამარ მეფე, უველაზე უფრო სსენებულ ადგილობისკენ დაიარებოდა. ქაჯეთის ციხეც თამარის ჰავას გაუკეთებია.

ერთხელ თამარ დედოფალი თავის წარჩინებულის საშე-ფოს კაცებით და კარის კაცებით ერუშეთისკენ მოგზაურობდა, ერუშეთიდგან ოლორის უნდა გადასულიყვნენ. მგზაურობის დროს, ამათ ერთ ალაგას დაუღამდათ, იმ ღამეს იქ უნდა გაეთიებინათ. მაგრამ ცხენიდგან ძირს ჩამობრძანების უმაღლ თამარ მეფემ რაღაც სუნი იგრძნო და ამიტომ კარის კაცებს მიმართა:

— უჟ! აქ როგორ შეიძლება ღამე დაშთენი და გათიება, ვერ ხედავთ რა ამბავია; წავიდეთ, წავიდეთ, აქ ვერ დავდგები, ყარს, ყარს, ძრიელ ყარს.

ამ სიტყვის გაგონებაზე თანახლებულათაც შექნეს ერი-ამული ასე:

— უჟ მართლა რა ყარს, ყარს, ყარს და ყარს, წავი-დეთ, წავიდეთ, ყარს, ყარს და სხვანი. თამარ მეფე საჩქა-როდ აბძანდა ცხენზე, თანხლებულნიც მოემზადნენ და სხვა-

გან წავიდნენ, ნიშნათ თამარ მეფის იმ ალაგას მიბრძანების, ჩამოხდენის, მაგრამ იქ ალარ დარჩენის, იმ ალაგას სახელათ ყარსი დაერქო, შემდეგ აქ ქალაქიც გაშენებულა, სწორეთ დღევანდელი ყარსი ეს მაშინდელ ყარსი არისო.

ეს ხალხის გარდონულმა არის, თორემ ყარსი ძველათ რაც უნდა რქმევოდა ქართველთაგან, ის ჩეენ ჩვენის გეოგრაფიულის, ეტნოგრაფიულის და ისტორიულის მწერლობით თაც ვიცით.

თამარ მეფის დროს, საქართველო ვრცელი ქვეყანა იყო, მაშინდელი საქართველოს მიჯნები იყო რკინის ჰალა და საფლით, დარუბანდი — ადმისაფლით, ასჭირი სამხრით და თსეთი ჩრდილოთ. მაშინ ქართველთ რიცხვი 10 მილიონზე მეტი იყო. ასეთ მრავალ ხევიან და მთიან ადგილებს ქართველი მეფები კარგათ განაგებდენ. ამათვე განავრცეს ქართველთ შორის ვაჭრობა, ხელოსნობა.

მათ ქართველებს ეს არ აკმარეს, ზღვაზე ცურვა და ნავოსნობაც წინ წასწიეს, ქართველნი მიეჩივნენ ნავოსნობას, აი თვით თამარ მეფეზედაც რომ ამბობენ: — „ზღვაში ჩაუშო ხომალდიო“. ნავოსნობა და გემოსნობა გამოწვეულ ჰყო უფრო ვაჭრობის წარმატების საქმემ, ბერძნებთან და სხვა ხალხებთან ქართველების ვაჭრობით დაახლოებდამ. ამ მოძრაობისთვის რასაკვირველია ზღვაზედ კარგი ნავთ საყუდარის. მოძებნა იყო საჭირო, მცოდნე კაცებმა მალე მოძებნეს და ყველაზე სამჯობინრათ, მოხდენილათ და გემების აღვილათ. მისადგომ ალაგათ დღევანდელი ბათუმის მიდამოები სცნეს. მაშინ ბათუმს სახელიდ კახაბერი ერქვა; იმიტომ რომ ბათუმის იქით, სოფ. ერგემლის, საყანე დიდს ადგილებს, ჭოროხს აქეთ, ყველას კახაბერი ერქვა, დღეს კი მარტოთ ბათუმის იქითა კუთხეს ჰქვიან კახაბერი, სადაც დღეს კარგი საბოსტნე და საყანე ადგილებია. ბათუმს აქეთ საგურიელო იყო, მხოლოდ

თავდეგერიძენი პპატრონობდნენ, ბათუმს—აბაშიძეებია, იქითა  
მხარეს ყველას კახაბერი ერქვა, აქეთა შეარეს გურია.

მოხდენილის ნავთ საყუდრის ადგილის მოძებნის შემდეგ,  
ნასწავლ კაცებმა თამარ მეფეს მოახსენეს, რომ ჭიპოვეთ კაზი  
ადგილებით, თამარმა ჰკითხა:

— სადა, რომელ კუთხეს?

— სწორედ იმ კუთხეს, სადაც პაპის თქვენის ჩამისაგან  
ქაჯეთის ციხე გახლავსთ გაკეთებული, მის ახლოს, ვაკე აღა-  
გას, სადაც სოფელიც არის და გარეშემ შამბით და ეწერით  
არის სავსე.

— ძალიან კარგი, იქ მოებიც ახლოა, ზღვამაც არ იცის  
იქ მაინცა და მაინც დიდი ლელვა.

— ღიას ის გახლავსთ, მოხსენეს მცოდნე კაცებმა.

— კეთილი, მეც იქავ, ერთს პატარა მთაზე, პატარა  
ეკკლესიას გავაკეთებ. ძალიან კარგი, მაშ წაბრძანდით, გაეცით  
ყოველივე ბრძანება, სოფელი—დაბათ გარდაკეთდეს, გაკეთდეს  
დუქნები, გააჩარდეს ვაჭრობა და ჭაინიშნოს ზღვით იქიდგან  
გასვლა გემების ლა იქვე შემოსვლა.

ნასწავლ კაცებმა მარე ალასრულეს ბრძანება. სოფელი,  
ქალაქათ აქციეს, ყოველისფერი მოაშენეს, გემის საბმელები  
გააკეთეს, ეს კუთხე გააჩარდეს. თამარ მეფემაც თავის სიტყვის  
თანხმად, ახლანდელ ბათუმის პირდაპირ ერთს პატარა მთაზე,  
გააკეთებინა სამების ეკკლესია და თვით ბათუმში დიდი ვრცე-  
ლი თლილი ქვის უკალესია, თათრობის დროს, ეს დიდი ვრცე-  
ლი ეკკლესია და აქციეულ იქმნა ქართველ მაჟმაღიანებისაგან და  
მის ალაგას ჯამე გააკეთეს. დღევანდელი დიდი ჯამე სწორედ  
იმ ალაგას არის გაკეთებული, სადაც თამარ მეფის ბრძანებით  
დიდი ეკკლესია გაუკეთებიათ. სამების პატარა და აქციეული  
ეკკლესია კი დღევანდლამდე სდგას.

რადგანაც თამარ მეფეს აქ ხშირათ არ შეეძლო მიბრძა-  
ნება, მიტომ ბათუმში, მან დაადგინა ერთი ქართველი გამგე.  
პირი, რომელსაც მაშინდელი ქართველნი ამ გამგე პირს მა-

ტონს უხმობდენ. ამ მხარეზე ვაკრობისთვის ოსმალ-სპარს-ბერძნები და სხვებიც ხშირათ მგზავრობდენ, ესენი სიტყვა ბატონს ვერ გამოსთქვა<sup>უ</sup>დენ თავისუფლათ, მათ ტანის ჩაგიერ უფრო თანი ემარჯვებათ, ამიტომ ბათხს უხმობდენ, შემ-დეგს დროში, ამ დაბასაც სახელათ ბითონი, ანუ შემდეგ, როცა ქართველებს დევნა უწყეს ოსმალებმა, მაშინ იმას ბათომი დაერქო. ასე რომ დღივანდელი ბათუმის ქალაქთ გა-დაკეთება ეკუთვნის თამარ მეფეს და სიტყვა ბათუმიც მისის წყალობით დაერქვა.

ლიგანის ქართველ ქათოლიკები, რომელთაც უამთა ვი-თარების მეოხებით დაკარგეს ქართული ენა და დღეს სომხურ ენაზე ლაპარაკობდენ, აი რას მოგვითხრობენ ზეპირ სიტყვაო-ბით:

— თამარ დედოფალმა როცა თორთომის ხეობის, იშხნის, ხახულის და პარხალის ეკკლესიების კეთება დაწყებინა, მერე შენების დასამთავრებლათ ფული დააკლდათ, თაპარ მეფემ არ დაურეა ხალხის შეწუხება, მან თავის თავიჯვან გამოიღო თხი თხა, ეს თმები შისცა კარის კაცებს და ასე უთხრა:

— მე ხალხის შეწუხება არ მინდა, წაიღეთ ეს თხი თმა, გაყიდეთ და იმაში ალებულის ფულით დამთავრეთ ეს ეკკლე-სიებით.

კარის კაცებმა წაიღეს ეს თხები და მართლაც მალე ისე ძირფასათ გაყიდეს, რომ მასში ალებულის ფულით ყელა ეკკლესიები დაამთავრეს.

ესენი მოგვითხრობენ ასე, თორემ ჩვენის ისტორიით ვი-ცით ამ ეკკლესიებთა აღშენება ვისგან როდის იყო.

დიდუბეში, სადაც ყველა წმიდის ეკკლესია არის ალ-შენებული, მის მახლობლივ გაკეთებული ყოფალა თამარ მე-ფის მშვენიერი სასახლეც, იქვე ყოფილა მშვენიერი ბალი; ბალი შემკული ყოფილა ყველა ნაირის ყვავილებათ, სხვა-და-

სწავლის ხელში, მრავალნაირის ფრინველებით და მარმარილოს ჰაუზებით.

სასახლის ერთს ოთახში, სადაც დღისით თამარ მეფე ისვენებდა ხოლმე, ძილის დროს, სადაც მარჯვენა მაჯას დააყრდნობდა, მის ახლოს, კედელში დიდის ხელოვნებით წყაროს ლულა იყო და წმიდა ანკარა წყარო გადმოდიოდა, იქვე ფირუზის ჰაუზში ჩადიოდა, მერე იქიდგან ბაღში გადიოდა და ერთ მარმარილოს ჰაუზში ჩადიოდა, წყაროს ლულასთან ეკიდა ლალის ჭიქაც, თამარ მეფე როცა გაიღვიძებდა და წყალს ისურვებდა, წყლის მიტანისათვის ბანოვანთ არ შეაწყებდა, თვით აიღებდა ჭიქას და წყალს მიირთმევდა. ეს წყარო ავჭალიდგან ყოფილა გამოყვანილი, დღევანდლამდისაც კი სხანს ლულების ნაადგილარით. იგი გამოყვანილი იყო ავჭალიდგან დიდუბების ვაკის თავ-თავს ფერდოების გვერდზედ, აღმართ აღმართის აფლით, რომ მას კაცის ფეხი არ მოხვედროდათ.

თამარ დედოფალი, ერთ დროს ბაზალეთის ტბისკენ ბრძანდებოდა, მთის ხალხი დიდად გაუმასპინძლდა. სამასპინძლო ადგილათ ბაზალეთის ტბის მიდამო ამოირჩიეს, რადგანაც მაშინ ეს ტბა დიდა ტბა იყო, მასთან ლურჯი ლილისავებ, წმინდა ანკარა, მეტათ სისიამოვნო სანახავი. მაშინ ტბაში აქა-იქ ბევრი ხეე'იც ყოფილან დაშთენილი, რომელნიც ტბაში უვნებლად ჰყვაოდნენ ზამთარ ზოტულს.

ნადიმის გათავების შემდეგ, თამარ მვთე თავის კარის კაცებით ტბისკენ იმზირებოდენ, თამარ მეფეს, ამ დროს, ხერზე თავის საყვარელი მიმინო ჯდა, მიმინო უცემ ხელიდგან გაპორენია, წასულა ტბაში და ერთ ხეზე დამჯდარა. თამარ მეფეს სწყენია ეს, მაღე უთქვაშ შემდეგი:

— ვინც იმ ტბაში შე უდება, მიმინოს დამიჭერს და მოგიყვანს, იმან რაც უნდა მოხოვს საჩუქრად მე ყველაფერს. აფუსრულებო.

საჩქაროთ ერთი დიაკვანი გამოსულია და თამარ მეფის-  
თვის მოუხსენებია:

— მე, ავასრულებ მეფეო თქვენს თხოვნას.

— კეთილი, მეც ავასრულებ დაპირებას.

დიაკვანი საჩქაროთ შეცურდა ტბაში, მიუახლოვდა იმ  
ხეს საღაც მიმინო იჯდა. თამარ მეფე თავის კაცებით  
შორიდგან უმშერდა. ამ დროს, უცებ თამარ მეფეს რაღაცა.  
ჰაზრმა გაუელვა გულში და თავისით სთქვა:

— ღმერთო, თუ იმ დიაკვანს ცუდი რამე აქვს გულში  
ჩანერგილი, აქ ნუღარ გამოიყან.

დიაკვანი სიხარულით მოცურავდა, მაგრამ შუა ტბაში  
მიმინო ხელიდან გაუფრინდა და თვითონაც შიგ დაიხრჩა,  
ვეღარ გამოვიდა. ცუდი რამ გაეფიქრა. თურმე იმ ბედ-შავს.  
თამარ მეფემ ბერი იწუხა ამაზე, მოლოს მიმინო თავისით  
მოუფრინდა და ისევ კულანდებურათ ხელზე დააჯდა.

თამარ მეფის დროს, ჯვარის მონასტრიდგან მცხეთის  
ეკკლესიის გუმბათამდეს ერთი ჯაჭვი ყოფილა გაბმული, ერთი  
მწირ ბერი ამ ჯაჭვზე ისე დაიარებოდა, როგორც კარგს ბი-  
ლიქს გზაზე. ამბობდნენ, რომ ეს მწირ ბერი ჯერეთ ცხეთის  
ეკკლესიის ზარს დარეკდა, აქ ცისკარ-წირვა დადგებოდათ,  
მერე ჯაჭვით ჯვარის მონასტერში გავიდოდა, იქ დარეკავდა.  
ზარსა და იქ დადგებოდა წირვა-ლოცვა. შემდეგ ისევ ცხე-  
თაში გამოვიდოდათ. ამ მწირ ბერის სახელს მოელი ქართვე-  
ლობა, იცნობდათ.

ერთხელ თამარ მეფე, ცხეთის ახლოს, ბებრის ციხეში  
ბრძანდებოდათ. აქ ჩამოვარდნილა ლაბარაკი:

— ეს ჩვენი მწირ ბერი წმიდა კაცია, რომ ასე აღვილათ  
გადის ჯაჭვზე და გამოდის!

ერთს იქ მყოფ ბერს უთქვამს.

— არა ბატონებო, რის წმიდა კაცია, ამ ჯაჭვზე ყველას  
შეეძლება გავლა აღვილათ, აქ ოსტატობა გახლავს საჭირო

და არა სიწმინდე. იმაზე წმინდა შე გახლავართ, გნებავთ მეც  
გავალ.

— აბა ერთი, გაბრძანდით და უნახავთ, ამის სამაგიეროთ  
რასაც ითხოვ, იმის გიბოძებ, მიუგო თამარ მეფემ.

— ძალიან კარგი, ეხლავ გიახლებით.

ბერი მოემზადა მცხეთილან ჯაჭვზე გავლას, მალეც ავი-  
და და დაიწყო ნელ-ნელა გასვლა.

თამარს გულში ჰაზრმა გაუელვა და თავისით სთქვა:

— ყოველი დედაკაცი უძლურ არს, თმა, გძელ და ჭიუა  
მოკლე, ეს მეორეთ შევცდი, ღმერთო, მაპატვე ცალმა, თუ  
იმ ბერს ცუდი რამ დივალება სურდეს, აქეთ ნულარ გამოიყვან.  
ბერი რიციდა თუ არა შუა ჯაჭვზე, უცებ გადავარდა და ადი-  
დებულს არაგვში ჩავარდა და დაიხრჩო.

— ამ შემოხვევების გამო თამარ მეფემ მცხეთელებს დიდი  
საჩუქარი მისცა, აჩუქა მიწები, შეაკეთა ხიდი და ბებრის  
ციხე, მცხეთა მორთო ლაშაზათ.

მაშინდელი გაბმული ჯაჭვი დიღხანს იყო ასე დარჩენი-  
ლი, ხოლო იმ ბერის შემდეგ კი აღარავინ გავიდოდათ. ბო-  
ლოს დამტკიცდა რომ მართლაც ის მწირ ბერი მეტათ სუფთა  
წმინდა კაცი ყოფილიყოვთ.

ქართველ ხალხს თამარ მეფე წმინდანათ ჰყავს მიღებული,  
რაღანაც ძველათ ქართველთ ეკკლესიამ თამარ მეფე წმინდა-  
ნებთან შერიცხა, ზოგიერთ ქართველს მიტომ არ სჯერა, რომ  
თამარ მეფეს ქმარი ჰყანდა, ეს რომ ვისმეს უოხრა, იგი  
შეურაცყოფათ მიიღებს, ეწყინება და გეტავის:

— რას ბრძანებო. როგორ გეკადრებათ, რომ თამარ მე-  
ფეს ქმარი ჰყანდა.

ასეთი ამბის დასამტკიცებლათ ამ რა გვარი მოთხრობაა.  
ხალხში დარჩენილი:

თამარ დედოფლის შამა რომ გარდაიცვალა სარდლებმა  
და თავადებმა თამარ მეფეს გათხოვება სთხოვეს, მაგრამ თამარ

მეფებ გათხოვება არ ინდომა, უქრმოთ დარჩა, ქოლწულებრივ გარდაიცვალა. ხალხი ძრიელ დარღობდა, რომ თამარ მეფე არ თხოვდებათ. ღმერთმა ერის წუხილი შეისმინა, თამარ მეფე მღვთის პრძანებით დამორსულდა და ვაჟის შვილი შეიცა. ეს ვაჟის შვილი იყო ლაშა გიორგი. დაბადების უმაღლ, თამარ მეფეს ლაშა ძეირფასს სამოსში გაუხვევია და ძიძისთვის გაუბარებია. ძიძას გაუზღია, როცა გაზღილა, მოჩიტებულა, მაშინ თამარ მეფეს თავის თითებით ლაშასთვის ტანთსაცელი შეუკერავს, ბანოვანნი გაუგზავნია, ტანისამოსი წაულიათ, ლაშა მოურთავთ და თამარ მეფესთან მიუყვანათ. მის შემდეგ იგი თამარის გაერდით ყოფილა და იქ გაზრდილა.

თამარ მეფეს ეს ყმაწვილი შიტომ მიუკია ძიძისთვის, რადგანაც ამის მოვლა სამეფო საქმეების სამსახურისთვის დროს წამართმევს. ესეთი სიბრძნით სავსე, იყო თამარი. კარის დიდებულებმა უთხრეს თამარ მეფეს:

— ნუ ინებებთ მაგას, მღვთის მოცემულს ნუ გააბრით სხვაზე. ნუ იკადრებთ, ღმერთმა არ გიწყინოთ.

— თქვენ ფიქრი ნუ გაქვსთ, ვინც გააჩინა იგივე დაარჩენს მას, ღმერთი თავის გაჩენილს არ გასწირავს, ეგ მე სამსახურის დროს წამართმევს; მე ასე ვაჩჩიე, ეგეც კარგად იქმნება, მეც ხალხის სამსახურის საქმეს არ დავაკლდები.

თამარის ასეთი განცხადება ყველას მოეწონა; ყველა ლოცავდა მის სიბრძნე გონიერებას.

ოსეთში ვერ ნახავთ ვერც ერთ ოსს, რომ იმან თამარ მეფეზე რამე გარდომოცემა, ლეგენდა, ან ლექსი არ იცოდ ს. სხვათა შორის მათში დარჩენილია შემდეგი ლიგენდარული გარდმოცემა:

თამარ მეფის დროს, იალბუზის მთაზე, თოვლი არ მოლიოდა, იგი სანაჭებოთ იყო ყველას წინაშე. თამარ მეფესაც თავის ერთი მშვენიერა სასახლე ამ მთაზე პქონდა გაკეთებული, სასახლეში სხვათა შორის თამარ მეფისთვის საკუთრათ

აღვებოლი იყო თორმეტი ოთახი, თორმეტივე სუჟ გარეულის  
ნაღირთა ძვლებით შემკობილი, ძვირფასის ხალებით და ფარ-  
ჩეულობით მორთული. ამ სასახლეს გარშემო დიდი გალავანი  
ეკრა, გალავანში ერთი დიდი თორმეტი ოთახიანი კოშკი იყო,  
ერთიც სხვა სასახლე, გალავანს შეა-მშვენიერი. ბალახი იზრ-  
დებოდა, თამარ მეფის გარეულ თხა, კანჯარი და ირმის ჯო-  
გიც შიგვე იყო გაშვეული და ბალახს, სძოვდენ.

უმეტეს ნაწილს, თამარ მეფე ამ მთაზე სცხოვრებდა,  
უყვარდა აქ ამოსვლა და აქედგან მზერა ოთხ კუთხივ. ერთ-  
ხელ თამარ მეფე სხვაგან მიბრავდებოდა, საქართველოს აღვი-  
ლების დასათვალიერებლად. მალე წაბრძანდა. კარის კაჯებით  
რა თავის თორმეტი ოთახიანი სასახლის მფარველათ თავის გამ-  
დელი დასტოვა, გამდელს პატივს სცემდა, წაბრძანების დროს  
გასაღებები გამდელს გარდასცა და უბრძანა ასე დავალებით:

— გამდელო, ეს გასაღებები შენ გებარებოდეს, ჩემ  
მოსვლამდის, შენ გააღე მხოლოდ თერთმეტი ოთახი და სუ-  
ფთა პატივისა და მზისთვის სანათურები ღია დასტოვე. მხო-  
ლოდ გთხოვ, რომ მეთორმეტე ოთახის კარები კი არ გააღო,  
ეს არ დაივიწყო.

— პატიოსანი, მიუგო გამდელმა.

თამარ მეფე წაბრძანდა, მცირე ხნის შემდეგ დედაკაცს  
ცნობის მოყვარეობა იღებრა მის, თუ ნეტა იმარ მეფემ მე-  
თორმეტე კარის გაღება რათ აშიკდალა, ნეტა იქ რა უნდა  
ჰქონდეს დამალულიო. სულმა ვეღარ გეუძლო, ვერ მოით-  
მინა და პირველათ მეთორმეტე ოთახის კარები გააღო.

ამ ოთახში თამარ მეფეს თოვლის გარ კვლავი ჰყოლია  
და წყვდეული, კარების გაღების უმიღ თოვლის გარს ვლავი  
კარში გაფრენილა, დედეკაცი შეწუხებულა; მაგრამ ვეღარ უშველიარა.

ეს ამბავი თამარ მეფეს მალე შეუტყვია, იგი საჩიაროთ  
დაბრუნებულა შინ, მაგრამ გარს კვლავისთვის ვეღარ უშველია-

რა, თამარ მეფეს დიდად სწყენია, ფიცის გატეხისათვის გამ-  
დელი დაუწყევლია.

ამ ამბის შემდეგ, მყინვარზე მუდამ წელს დიდი თოვლი  
მოდის ხოლმე, თოვლისაგან იკრიბება დიდრონი ზვავები,  
მერმე ეს ზვავი მოსარლვევათ ნელნელა ემზადება, გაზაფხუ-  
ლის ბირზე დიდის ჭექა ქუხილით ძირს ეშვება, ვარდება და  
მის მეოხებით გამლელსა და გამომვლელსაც საშინლათ ღუ-  
პავს, ბევრი უბედურება მომხდარა მისგან, ჯერ ბევრიც მოხ-  
დება.

თამარ მეფისაგან დაწყევლილი გამდელი ტარტარზათ  
ქცეულა, სასახლიდგან გაქცეულა და კუდიინების დაწში შე-  
რაცხულა, მათში ჩარეულა საყოველთავოთ, თამარ მეფის  
ჯავრი კი მაინც გულში ჩაყოლია, სამაგიეროს გარდახდა მო-  
უნდომნია.

განვლო დრო ეამშან და თამარ მეფე გარდაიკვალა, რამ-  
დენიმე ხნის შედეგ დიდის გლოვით და გოდებით დაასაფ-  
ლავეს ერთ ალაგას. თამარ მეფეს გარდაცვალების ამბავი ტარ-  
ტარზ გამდელს მალე შეუტყვია.

ეს გაქცეულა დროზედ, გაუთხრია თამარ მეფის საფლა-  
ვი, აქოულია და იალბუზის მთაზე წაულია თავის სადგომ ბი-  
ნასთან და ერთ ალაგას დაუსაფლავებია. ხალხის შინებია მას,  
რომ ვაი თუ გაიგოს ვინმემ, მოვიდეს, მოსხებნოს, იპოვნოს  
თამარის სამარე, ამოილოს და წაიღოსო.

ამიტომ ამ ტარტარზ დედაკაცს გაუკეთებინებია რამ-  
დენიმე მარმარილოს ქვა, ერთ ქვაზე დაუწერია რომ აქ მარხია  
თამარ მეფე, მეორეზე დაუწერია, რომ აქ არ მარხია თამარ  
მეფე და ასე და ამ გვარათ სხვა ქვებიც. მერე წაულია ეს  
ქვეზი და ერთ ალაგას, საღაც თამარ მეფე არ ყოფილა და-  
საფლავებულია, იქ მოლფენია და მით დაუბნელება თამარ  
მეფის საფლავის ცნობა.

ერთ დროს ხალხს თამარ მეფის საფლავის ძებნა დაუწ-  
ყვიათ, მერე მიუგნიათ იმ ადგილისათვის, საღაც მოსატყუებ-

ლათ მარშარილოს ქვები ყოფილა მოფენილი, უახრიათ მრავალი საფლავები, მაგრამ ვერსაც რა უპოვნიათ. ტარტარიზე დედაკაცს სულ უცხო ხამს ალაგას დაუკრძალავს თამარ მეფის გვამი.

ეს ხალხის გარდშოცემა არის, თორემ ისტორიით ჩვენ კარგათ ვიცით, რომ თამარ მეფე გელათში ასაფლავია, დავით აღმაშენებლის მახლობლათ, რაზედაც ზემოთაც ვისაუბრეთ.

საქართველოს კუთხეებში, ტითქმის ყველა შხრის ქართველი ამბობს, რომ თამარ მეფე ძლიერი მეფე იყოვო, მან სპარსეთის ზოგიერთ მთავრებს ხარჯი დაადგაო, ასევე დიდი გავლენა ჰქონდა სტამბოლზეთ. ამ ძლიერების საქებრათ ძველათვე გამოთქვეს შემდეგი ლექსით.

„ურბნის აფაგე საუდარი, უწყლოსა წეალი გადინე, ისპაანს დაჭადევ ბეგარა, სტამბოლს სარაჯა აფიღე, თეთრ ზღვაში რკინა ჩაფაგდე, სმელეთი ჩემსკენ მოფიგდე, ამდენი საქმის მომქმედმან, ცხრა ადლი ტილო წაფიღე“.

რკინათ იგულისხმება ხომალდის ლუზა. ქართველთა გარეშე თამარ მეფის ძლიერების შესახებ ლეკებშიაც ძრიელ ბევრი ცნობებია დაშთენილი.

აქარაში, ზოგიერთი ბერი ფანატიკი ხოჯა მოლები ბრძანებენ, რომ თამარ მეფე თათარი იყოვო. ამის მინაგვარი ცხინვალშიაც ყოფილა, აი მაგალითებრ. თამარ დადოფალი იყო ერთი ძლიერ თათრის ხელმწიფის ქალი. ეს ქალი ძრიელ ლამაზი იყო, მამამ გათხოვება დაუპირა, ქალი არ თხოვდებოდა, უარი სთქვა, მამას ჯავრი მოუკიდა, ერთს ოთახში დააპატიმრა, მოინდომა მისი ტანჯვა, მაგრამ თამარი მალე მიხვდა ამას. ლმერთს შევეღდრა ოლონდ ამ ციხიდაშ დამიხსენდა მე მაშინვე მოვინათლებით. რაც ინატრა, ლმერთმა შეისმინა, თამარი ვარსკვლავათ იქცა, ციხიდგან გაფრინდა. ერთ

ზიდს მთაზე ეკკლესია გააკეთა და იქ დაიწყო ცხოვრება. მამამ ვეღარი აკადრა-რა, თამარმა ეკკლესის გვერდით ერთი კარგი სასახლეც გააკეთა, ერთ თახაში ვარსკვლავი ჰყავანდა დაჭერილი, ერთხელ თამარ დედოფალი დასავლეთ საქართველოში მგზავრობდა. ამ დროს მისმა გამდელმა დაკუტილი თახის კარი გააღო, თოვლის ვარსკვლავი გაფრინდა, მის შემდეგ ცა ნისლით შეიკრა, თამარ მეფემ ეს ამბავი მალე შეიტყო, შინ დაბრუნდა, მაგრამ ვარსკვლავს ვეღარა უშველა-რა, მას შემდეგ ეს მთები სულ ნისლით იკვრის და ჯერეთ ერთი წლის თოვლი არ არის გამდნარ გათავებული, რომ მეორე წლისაც ზედ ემატება და მის მეოხებით იქაურ მიღამო-ებთა ხეებსა და ყვავილებს სასტიკათ ახმობს... ამ შემთხვევის შემდეგ ჩამოვარდა თევთში ზამთარიო, ამ ზამთარმა დიდი ავნო ასის ხალხსც.

ძველად, ქართველებმა შემდეგი ჩვეულება იცოდენ: სადმე-ავადმყოფს რომ გაუჭირდებოდა, მას შეათქმდევინებდენ, რომ ოლონდ კარგად გახდეს და მის შემდეგ თამარ მეფის საფლავს მოესძებნით. მის საფლავის მიწას თვალებზე წავისომთ, საფ-ლავს პატივს ვსცემთ.

ქართველ მაჲმადიანებს, ადრე, მგონი ქრისტიანობის დროს და შემდეგაც თამარ მეფის ლოცვა სცოდნიათ. ლოცვაში გა-შოხატული ყოფილა, რომ თამარ მეფე არ მომკვდარა, ის ლმერთთან ზის, წმიდანებთან იმყოფება; ის კიდევ მოვა-ოდესმე, ჩვენს თხოვნას შეისმენს, აჭარას ნახავს, თავის ბე-გიებს დაემდურება. სწორეთ ასეთის საოცნებოს, მიმართვით შესდგა ხალხში მრავალი სახალხო ლექსი.

ბევრს ალაგას ფშავ ხევსურეთ თუ შეთშიაც ასევე ჰქონიათ, რომ თამარ მეფე არ მომკვდარა, ის საცალა დაძინებული არის და ჩვენ თუ კარგათ შევევეღრებით, უაშინ იჯი აღება და მოვა ჩვენთანაო. იქვე იტყვან:

თამარ მეფე ამირანს იცნობდა, იალბუზე ამირანი ნახაო, როსტომ და ბეჟან თამარ მეფის გმირები იყვნენ, თამარ მეფეს

ესენი წაუძლვნენ წინ, როცა იგი ამირანთან წაბრძანდათ  
მთის ხალხს თამარ მეფე ხატათ აქვსთ გამოსახული.

თამარ მეფეს ოსმალებთან ომი ჰქონდათ, ომში ქართვე-  
ლებმა გაიმარჯვეს და სულთანი ტყვეთ ჩაუვარდათ, პურობი-  
ლი თამარ მეფეს მიჰვარეს, როცა პურობილი თამარ მეფის  
წინაშე წარსდგა და სახეზედ შეხეღა, უცბათ შეკრთა, უკან-  
დაიწია და ყვირილი დაიწყო:

— მიშველეთ, მიშველეთ.

იქ მყოფთ საჩქაროდ ჰკითხეს.

— რა იყო, რა დაგემართა, რის შეგეშინდა?

— მე იმის შემეშინდა, რომ თამარ მეფის გვირგვინს  
გარს ერთი ხლმით ამოლებული კაცი უვლის და იმ გალესილ  
ხმალს სულ აქეთ იქეთ ატრიალებს მტრის წინააღმდეგ.

### მოხევებში გაგონილი.

თამარ მეფეს ქრისტიანულობა არ უნდოდა, შაგრამ ხალხმა  
რაატანა ძალა და მიტომ გათხოვდა. ორი წლის შემდეგ,  
მთელს საქართველოში ასეთი ბრძანება განაცხადა: მთელს  
საქართველოს კუთხეებიდან, სადაც კი მღვდელი, ბერი, დია-  
კვანი, ლარიბი, მოხუცი, ობოლი და ქვრივები არიან, ყველანი-  
ჩემ წინ წარმოდგნენო და მოწყალება მიიღონ. ბრძანების  
თანხმად, თამარ მეფის სასახლის კარზედ დიდი ხალი ხალხი  
მოგროვდა. თამარ მეფემ ხაზინა გახსნა და ლარიბებს მოწყა-  
ლებას თვით ურიგებდა. მოხევებიდამ ერთი მღვდელი წარსდგა  
მოწყალებისთვის, ამას მოწყალება რომ მისცეს, მღვდელმა  
ჰკითხა იქ მყოფთ.

— ამას რაზედ მაძლევთ, რა უნდა უყო ამას, ეს მე რაფ  
მინდა!!

— რა უნდა უყო და მოიხმარე, ხოლო მის სამაგიეროდ  
თამარ მეფისთვის ოლოცულ.

— რა ვილოცო, მიბრძანეთ თქვენა.

— ილოცე, რომ თამარ მეფეს წვერი და ულვაშები გა-  
მოესხას.

— კარგიო. უთხრა მღვდელმა და თან იგი წავიდა თა-  
ვის სასახლისაკენ. მეორე დღეს წირვაზედ ღმერთს შეევედრა,  
რომ ღმერთო თამარ მეფეს! წვერი და ულვაშები გამოასხიო-  
ეს მღვდელი მეტად წმიდა კაცი ყოფილა, მისი ვედრება.  
შეისმინა და თამარ მეფეს უცფათ წვერი და ულვაში გამო-  
ესხა. რამდენიმე დღის შემდეგ თამარ მეფემ პირს ბალდაცი  
აიხადა, წარსდგა თავის დიდებულების წინაშე და სთხოვა  
დაბარება ყველა იმ პირების, ვინც-კი მას ჯახლნენ და, თვით  
მისგან მოწყალება მიიღეს, ბრძანება მალე შესრულდა, მოწ-  
ყალების მიმღებთ მალე მოიყარეს თავი თამარ მეფის წინა, მათ  
სათითაოდ გამოჰკითხეს თუ ვინ როგორ ილოცა, შემდეგ  
წარსდგა მოხევი მღვდელი, ამას მისცეს კითხვა, მან უთხრა:

— ღმერთო! თამარ მეფეს წვერი და ულვაში გამოა-  
ხიო.

— ჩათ ილოცე მაგრე, ვინ ვითხრა მის ლოცვა.

— აქ შითხრეს ბატონო, მოწყალების მიღების დროს.  
ზამარ მეფემ ეს მღვდელი თავის სასახლეში მიიხმო, საჩუქრე-  
ბი მისცა, საჭმე გამოჰკითხა და შემღეგ უბძანა.

— წადი, მამაო, შენ წმინდა კაცი ყოფილხარ, ეს საჩუქ-  
რები შენთვის წაიღე, არავის კი უთხრა. ხოლო ახლა კი  
ილოცე, რომ მე ეს წვერ-ულვაშები გამცვივდეს. მღვდელმა  
მოისმინა ყოველისფერი, გამოეთხოვა მეფეს და თავის სასახ-  
ლისაკენ წავიდა, მეორე დღეს, წირვაზედ ღმერთს შეევედრა:  
თამარ მეფეს წვერ-ულვაში გასცვივდეს სახიდამაო. ღმერთმა  
შეისმინა მისი ლოცვა და წვერ-ულვაში გასცვივდა. ამის  
შემდეგ ეს მოხევი მღვდელი თამარ მეფემ კვალად მიიხმო-  
ოვისკენ და წყალობა მისცა, იგი მღვდელი წმინდანი იყო,

თამარმა თავის კარის ეკელესის მღვდლად დანიშნა. თამარ მეფის ჯარმა რომ ნუქარდონს ომი ღაუწყო, იმ დღეს, ამ მღვდელმა ვარძიაში სწირა; იქვე წირვაზედ ბრძანდებოდა თამარ მეფე, წირვაზედ მღვდელმა შეიტყო რომ ქართველმა ჯარმა გაიმარჯვაო, მალე გამოვიდა საკურთხევლიდამ და თამარ მეფეს ლოცვა კურთხევით ასე მიმართა.

— დიდებულო მეფეო, მოგილოცავთ, მოგილოცავთ, ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა, მტერს დამუხლებულებს მოგიყვანენ; თქვენ კარგად ბრძანდებოდვთ, ეს მე წირვის დროს ცხადლივ გამომეცხადა.

მართლაც და ამბავი მალე შოუვიჟაჭ, რომ ქართველთა მხედრობამ მტერი სასტიკათ დაამარცხავო. იგინი გაქციეს და თვით გამარჯვებულნი მოდიან თამარ მეფის წინაშეო.

### ჯავახელთ ნააშბობი.

სოუკარია საქართველოს ხალხის თვისება, ყველა კუთხის ქართველი ლაპარაკობს, რომ თამარ მეფე ჩვენი კუთხის დიდი გკლესიაში მარხიაო. მურდელელნი ამბობენ, რომ თამარ მეფე მურდულში - მარხიაო. მაჭახელელნი - მაჭახელში, რაჭველი - რაჭაში, ჯავახელნი - ჯავახეთში - თმოგვს. ამაზედ ამბობენ, რომ ვითომც თმოგვის ახლოს; მტკვრის პირს, ერთ ალაგას კუნძულის მსგავსი ჭალაკია. აღრე ამ ჭალაკზედ მტკვარი მდინარებდა, ერთ ალაგას მტკვარს გადურეცხია და როცა დამშრალა, იქ გამოჩენილა ერთი საფლავი, სადაც თამარ მეფის კუბო და აკვანი მდგარა. კუბოს დამარხვის დროს, აკვანიც შიგ ჩაუტანებით თურმე, ამ კუბოს და აკვანს ხალხი დიდხანს ხელავდა თურმე, მერე კი საცალა გძრა, ჰეცის კენ წაიღეს ანგელოსებმათ.

### ქართლში დაშთენილი.

თამარ მეფემ ბეთანიის ეკკლესიის შენება დაიწყო  
სოფ. სამაღლოს. ამის შესახებ ბრძანება დროით გამო-  
აცხადა. ეკკლესიის ალაგი დანიშნეს, მალე ქვა, კირი, ხე,  
ტყეც მოზიდეს, მასალაც შეკრიბეს, მალე საძირკველიც ჩა-  
ყარეს, მალე საძირკველის თავიც აამაღლეს. ერთ დღესას-  
წაულ დღეს, საძირკველის კედლები, მტრედები, შოშიები და  
სხვა ფრინველები დაესივნენ, კედლის ნაწილები სულ კენჭე-  
ბათ აქციეს, ფრთებ ქვეშ შეიწყეს და გაფრინდნენ უდაბურ  
ტყეში და მიიტანეს და იქ დააწყეს საღაც დღეს ბეთანიის  
ეკკლესია არის. ფრინველთაგან ამ მასალების ზიდვა რამდენ-  
სამე დღეს გაგრძელდა. ეს ამბავი თამარ მეფესაც დროით  
მოხსენდა, თამარ მეფე მალე მიბრძანდა და თავის თვალით  
ნახა ფრინველთაგან ქვების მოტაცება და ზიდვა, ის ადგი-  
ლიც მალე ნახა საღაც ეს ფრინველები მასალას ზიდავდენ.  
თამარ მეფე მალე მიხვდა საქმის გარემოებაო.

იმ დღეს თამარ მეფე დაღლილი ბრძანდებოდა, ცოტად  
მიეძინა, ძილში სიზმრათ გამოეცხადა, რომ დიდებულს ბეთა-  
ნიის სასახელოთ აღაშენა ეკკლესია და მით აღიდეთ სახელი  
თვისიო. თამარ მეფემ ასეთ ჩვენებას ღიღი ყურადღება მიაქ-  
ცია, სამაღლოზედ ეკკლესიის, შენება დაიწყეს იმ ალაგის,  
საღაც დღეს ბეთანია არის. თამარ მეფეს ბეთანია ღიღი უყ-  
ვარდა. ამიტომაც დახატეს შიგ მისი სურათი. ბეთანიას თა-  
მარ მეფეც ღიღი დახმარებას აძლევდა, იგი მონასტრათ იქმნა  
დანიშნული.

### თფილისში დაშთენილი.

თამარ მეფე წმინდა ქალი იყო, იგი წმინდანათ არს შე-  
რაცხული. იგი რომ გარდაიცვალა, ზეციდამ ორი ანგელოზი

ჩამოვიდა ოქტომბერის 9 კვერცხი ჩამოიტანეს, შიგ ჩააწევინეს, ზეცას გაფრინდნენ და თამარიც თან წაიყვანეს, ამიტომაც არის, რომ მისი საფლავი დედამიწაზედ არავინ იკის, იგი არსად არის, საღაც თამარ შეფერ გარდაიცვალა. იმ ალაგას რაშენა- სამე ხანს ნათელი იდგა.

### მაჭახლური ცნობა.

მაჭახლური დაშტენილი ცნობა თამარ მეფის დროს მისის ბრძანებით საყდარს ევფრატი მიტომ დაარქვეს; რაღანაც რო- ცა აკეთებდენ, მაშინ იტყოდნენ ხოლმე, რომ ეს ეკკლესია იმ ფრათ უნდა გავაკეთოთ როგორც ესა და ეს ეკკლესია რის გაკეთებულიო. ამიტომ ევფრატი სიტყვა „იმ ფრათ“-იდამ გადაკეთდაო. სოფ. ხერთვისი მიტომ დაერქვა, რაღანაც აქ- ირთ ხეობის წყალი მაჭახლა მეორე ხევის წყალს ერთვის, და მიტომ იტყოდნენ ხევთ ერთვისო და აქედგან წარმოსდგა ხერთვისო.

1871 წ. გაზ. „დროება“-ში სწერს დ. წ. შემდეგს: — მაჭახლური გიყავ და შევიტყე, რომ ერთს ოჯახში მოიპოვე- ბა თამარ დედოფლის წიგნი, სამალურს ენაზეო. მე ამ წიგნის თარგმნა მინდოდა ქართულს ენაზედო, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, მის პატრონმა ეს წიგნი არ მათხოვა და ამიტომ ვერ სთარგმნიო.

ეასილი სიმონის აქ თელეშვილის ცნობებით დაწერილი თხებში დარჩენილი ამბები და ლეგენდები.

თამარ მეფე ისეთი ძლიერი და წმინდანი იყო, რომ სა- დაც იგი ფეხს დადგამდა და სიტყვას იტყოდა, იქ მაშინათვე ყველაფერი გაკეთდებოდა, მაგალითებრ იტყოდა, აშენდეს საყდარი და იგი აშენდებოდა, — გამოვიდეს წყალიო და ესეც გამოვიდოდა.

სოფ. მთარაროში არის ერთი ქვა-ბათლომი (ბგოლემი), მეორე ქვა არის სოფ. ყებალთაში, ეს ორი ქვა იერუსალიმიდამ არის მოტანილიო. ერთი ქვა თამარ მეფის არის და მეორე დავით სოსლანისამ. აქეთვე რარის მთაზედ, თამარ მეფის ჯარისათვის სააგარაკო ყოფილა. ზამთარს, ზაფხულს ჯარი დიდუბეში მდგარა.

თერჯი და ტუროკი დაშურაო. ამიტომ დიგორელნი წვინდა კაცს ეძებდენ. რომ იქნება მისის ლოცვით წყალი ისევ გამოვიდესო. სხვა და სხვა ტომთა რჩევით, ამათ თამარ მეფეს სთხოვეს ლოცვაო. ეს შიგიდა, ილოცა და მის მერე ორივე წყალი ხელ ახლა გამოვიდაო.

ამბობენ, რომ თამარ მეფეს თავის ძეირფასი სახლი მარტოდ იალბუზის მთაზედ კი არა აქვსო, არამედ მას მეორე სახლი არარატის მთაზედ აქვს და მესამე ყინვარის და ყაზი-ბეგის მთაზედო. ამას ისეთი ძალა აქვნდა, რომ ერთის მთიდამ მეორე თავის მთის სახლს ელაპარაკებოდა და ყველაფერს აგებინებდაო. ყველა ეს სასახლები მეტად ძეირფასად ნაგებნი ყოფილან.

დავით სოსლანი გარდაიცვალა, ორი წლის შემდეგ იგი ვაცოცხლდა და უკან მოვიდა. ქართველებს და ოსებს საყვე-დური უთხრა, რატომ ხარებს არ მიკლავდითო, უსაყველურა, რომ საქონლის სული ჩემთან არ მოღიოდაო. ამაზედ ძალიან გაჯავრდა. მერე წავიდა და თავის ჯავრი თურქებზედ იყარა. ერთ ალაგას წვეულება იყო, იქ ჩამოხტა, მტიწვიეს. ერთმა იქ მყოფმა უთხრა: — ცხენს მე შეგინახამო. დავით სოსლანმა ჰკითხა, რომ გაგიძალიანდეს და თოჯი გასწიოსო, რომ გაიქცესო? მიუგო: თუ გაძალიანდება, მაშინ მეც გაუშვებო. ამას არ მისცა ცხენი და თავი მოსჭრა. მერე მეორე კაცმა უთხრა: მე შეგინახამო, ამასაც ისევე ჰკითხა; საბელი რომ გასწიოს

და გაგეჭუეს, მერე რას იქმო? მიუგო: თუკი გაძალუანდება მეც მიუშვებო. გასაც თავი მოსჭრა. მესამემ უთხრა: მე შევინახამო. საბელი რომ გაგიწყვიტოსო, რას იქმო? ამან უთხრა კისერში დავიჭერო, კისრით რომ დაგჯაბნოს. გაშინ რას იქმო? მიუგო: კუდს დაუჭერ და მაინც არ გაუშვებო. ცხენი ამას მიაბარა, თვითონ მასპინძელთან მივიდა. ნადიმის გათავების შემდეგ, თურქეთი აჩკლო, თავის ქვეყნის ჯავრი ამოიყარა, დიდი ძალი საქონელი იშოვნა, ყველა ესენი საქართველოში მოიტანა და რაღვანაც თავის ხალხი უყვარდა ეს საქონელი სულ მათ დაურიგა. თანვე მოიყვანა ერთი ლურჯი ხარი, რომელსაც რქები აბრაშუმით შეუკრა, იალბუზის მთაზედ წაიყვანა, ჩქ, იგი ღმერთს შესწირა და თითონ ბარასტან (აბრამი) გაფრინდა, სამოთხე ში, ანუ საიქიოს, გათს გვერდით დაჯდა და თამარიც იქ ზის.

60 წლის წინედ, ერთი მოხუცი კაცი იტყოდა ხოლმე: რომ მე იალბუზის მთაზედ აველ, იქ ვნახე, რომ ეს მთა ვარეთ სულ თოვლით არის მორთული, ხოლო შიგ კი მშვინიერი ქალაქია, სახლებს სულ ბროლის კედლები აქვს, იქვე არის ძვირფასად ნაკეთი კუშკები, იგინი სავსეა სულ ძვირფას საქონლით, ნადირიც ბევრია. ერთ ალაგას სამი ოქროს კუბო არის, ერთზედ ეწერა: თამარ მეფე; სუფთა ასოებით, ვნახე, შიგ ანგელოზის მხგავსი ქალი ესვენა, მე შევშინდი. მეორე კუბო დავით სოსლანის იყო და მესამე რუსულანის: მათს ახლოს ორი წყარო მოდის, ერთი ოქროსი, მეორე რძისა.

დავით სოსლანს ოსები არტენს უწოდებენ, იგი იყო გმირი კაცი, ტანი ჰქონდა ფოლადის, იგი ბევრს ხალხს ხოცავდა, ამიტომ იგი ღმერთმა ცაში გააფრინა და მთვარეზედ დააბა. მთვარეზედ იგი დღესაც მოჩანს ჩრდალი ღრუბლებივთ. მთვარეზედ მიბმულმა დავით სოსლანმა ღმერთს ერთი რამის

ნება რთვა სთხოვა, ღმერთმაც ნება მისცა, მაშინ დაჭით სოს-ლანმა იქ მოკრიბა გველი, ხვლიკი, ჯოჯო, ბაყაყნი და სხვა ასეთნი და მაღლიდან ძირს გაღმოყარა ქვეყანაზედ და მათ მიტომ დაერქვათ ქართულად ქვე წარმაფალნი. ამას შემდეგ გაჩნდენ თურმე ქვეყანაზედ ესენი.

დავით სოსლანს ერთი ამხანაგი ჰყვანდა ბათრაჯა, რკინის კაცი, მერე ეს ზეცაში ავიდა, 50 დღე და ლამე იქ სამჭიდლოში იყო, გადადნა. მერე ფოლადად გადაიქცა, მერე იქიდან შავ ზღვაში გადისროლეს, ამით მან ზღვა დააშრო. მის შემდეგ ზარბაზნებს ამ ფოლადის კაცით ისროდნენ და მიტომ აღარაფერი რჩებოდა დაუნგრეველი და თვით მთებიც კი ინგრეოდა, რაისა გამო ამოდენა დიდი და პატარა მთები არის, ამ კაცის ამხანაგი ამირანი ყოფილა. ერთი კაცი იაღმუჩად ასული, იქ ამირანი უნახავს, ამ ფოლადის კაცის ამხანაგი, ამირანი თურმე ხმა მაღლა სტიროლა და ამბობდა, რომ მე ისე ჩემი ტანჯვა არ გადარდებს, როგორც ჩემი ამხანაგებისაო ჩვენ სამნი როცა ბურთს ვთავაშობდით, მაშინ მით ქვეყანას ვანგრევდითო, ამიტომ მთებიც ზოგი დაბალია, ზოგი მაღლიო. ყოველივეო ხდებოდა თამარ მეფის დროსაო.

თამარ მეფე იმერეთში მოგზაურომდა, სახლი მოახლეებს ჩაბარა, ერთს ოთახში, სკივრში ცისკრის ვარსკვლავი ჰყვანდა დავერილი, ეს სკივრი შეცდომით მოახლეო გაალო, ცისკრის ვარსკვლავი გაიქცა. მალე თოვა დაიწყო, თორემ მინამ თოვვა არ იკოდაო. თამარმა ყავლაფერი გაიგო, დაუარდიანდა, მალე უკან დაბრუნდა, გზაში სთქვა თურმე რამე უბედურება მეწვევაო; რაჭაში სოფ. ლართან რომ მივიდა, ცხენმა თოვლის ლარის კეთება დაიწყო, ამიტომ ამ სოფელს ეს სახელი ეწოდა-ლარი. აქედამ მალე მივიდნენ ერთ ალაგას, გზაში თოვლი ცხენს ბეჭებამდის აუგიდა, ამიტომ ამ ალაგას სურადონი უწოდეს, სურად ბეჭებს ნიშნავს. აქედამ სოფ. კუდართში

მივიღნენ, თოვლმა ცხენი მოუკლა, მიტომამ სოფელს კვდარი დაერქვა, თორემ წინედ სხვა სახელი რქმევია. აქიდამ წავიღნენ, გზაში დიდი ყინვები ნახეს, ერთ ალაკას ჩამოხდენ, ამიტომ ამ ალაგას ზამთარეთი უწოდეს, აქედამ ჯავში ასულან, აქ ვარსკვლავის გაფრენაზედ დიდათ იჯავრა და მიტომაც სოფელს ჯავა დაარქვეს. ამის შემდეგ იგი ზეცაში აფრინდა. ზოგნი იტყვიან ზეცაში კი არა იალბუზედ აფრინდა, იქ მიიცვალა და ეხლაც კი ოქროს კუბოში ასვენიაო.

ვიდრე თოვლით შეიმოსებოდა ეს მთები, მინამდის იგინი სულ ზერებით იყო შემოსილიო. ეხლაც არის ამის ნიშნებიო. ამ მთებს სოფელ ქესელ ეთელნი წელიწადში ოთხ ხარს სწირავდენ თამარის სახელისათვის. იქ რომ წვიმა მოდის იტყვიან თამარ დედოფალი სტირისო და თავის მსხვერპლს თხოულობსო. ესენივე იტყვიან: თაბარ მეფე უველა ნადირის ენაზედ ლაპარაკობდაო. მოსამსახურედ ჭრანიკი და დომბაი ჰყვანდაო, ესე იგი ლომი და ვეფხვიო.

თამარ მეფე ერთხელ მოსკოვში ლოცულობდა, ამ ლოცვის დროს, მან მღვთის მშობლისაგან მიიღო ის ხატი, რომელიც ეხლა მოსულის. საყდარში ასვენია და რომელსაც პატივს სცემენ ასები, ჩეჩნები, ქისტები და ინგუშები.

ასები ამბობენ ჩეჩნების სიტყვით, რომ მთვარე თამარ დედოფალიაო. ცისკრის ვარსკვლავის გაფრენამდი, მთვარე ცაზედ არ იყოვო. როცა ვარსკვლავი აფრინდა, მაშინ თამარ მეფეს ძრელ ჯავრი მოუვიდა და აფრინდა ცაში და იქ მთვარეთ იქცაო. ჩეჩნებივე ამბობენ, რომ თამარ მეფე ერთის ნაბიჯით იარებოდაო.

ესენივე ამბობენ შემდეგს, ქრისტე როცა ამალლდა, მაშინ მან თავის გვირგვინი ბაგრატიონთ ერთს გვარის წევრს

გარდასცაო. მერე ეს გვირგვინი მეტკვიდრეობით თამარ მეფეს ერგოვო. შემდეგ თამარის ეს გვირგვინი დაიკარგაო.

ზოგნი იტყვიან, რომ თამარ დელოფალი ისეთი წმინდა-ნი იყოვო, რომ მას სამეფო გვირგვინი ზეციდამ დაედგაო. ამ დადგმის მიზეზად ის გახდა, რომ იგი მეტად მღვთის მოყვარე იყო, დატაკთ შეზბრალე და ქვრივ-ობოლოთა და მოხუცებულ-თა გამდელიო. უამისოდ ეს რომ ასე არ ყოფილიყოს, მაშინ თამარი ამ გვირგვინს ვერ მიიღებდაო. თამარ მეფეს ქმარი არ ჰყავანდა, ლაშა გიორგი მღვთის ბრძანებით დაგბადაო. მერე ეს ყმაწვილი ტყეში ერთს ხის ძირას დასტოვესო. იქ ამ ყა-წვილს ღმერთმა ერთი ირემი მიუჩინა, რომელიც ყმაწვილს ძუძუს აწოვებდა და სდიდაო. გავიდა რამდენიმე ხანი და ერთ ნადირობის დროს, თამარი ამ ყმაწვილს თავის მაწოვარის ირმით ერთ ალაგას შეჰყარაო. ეს ყმაწვილი და ირემიც თავარ მე-ფემ თავის სახლში წააყვავინაო. ეს ყმაწვილი იყო ლაშა გიორგიო, ამაზედ არის ნათქვამი.

„ბაგრატიონთ გვარის ქაცსა, ირშის ძუძუ უწოდნაა,  
ჭალაში გადაგდებული მონადირეს უპოვნიათ“.

ამიტომ თამარ მეფეს წესად დაუდევნია, რომ ბაგრა-ტიონთ გვარის კაცებმა ირმის ხორცი არა ჭამონ და მიტომ ივინი არც სჭამენო.

ეს ადგილი გადასხვაფერებით მოყვანილია ერთ ლეგენ-დაში, რომელიც დაბეჭდილია 1901 წ. უურ. „მოგზაურის“ მერვე წიგნში. ლეგენდა დაუწერია ბ. ებანოიძეს სოფ. საქა-რაში, ეს ლეგენდა მე აქ მთლათ უნდა მომეუვანა, მაგრამ ვერ მოვიყვანე აქ იმ მიზეზის გამო, რომ იქ პირველ მაჭა-დიანებზედ შეუფრებელი ლაპარაკია და მეორე თვით თამარ მეფეც ისეა მოხერქული, რაც არ არის ლირსი დაბეჭდვის, დავსძენთ აქ, რომ ამ ლეგენდაში მოთავსებულია ცნობები „ბაგრატიონთ გვირგვინისა“ ხოლო „ბაგრატიონთ გვირგვინი“

სხვას მეფეს შეეხება, ჩვენ მაინც ამ ლეგენდის ადგილიც მო-  
ვიყვანეთ შემოკლებით. ვისაც სურს ამ ვრცელი ლეგენდის  
წაკითხვა იმან იგი წაიკითხოს „მოგზაურშო“.

გ. ქ.

947. 992

£ 551



947.922

‡ 551

ბ. ვიკინაძე, მეორე თუმანოვის ქუჩა სახლი № 32.

ფისი ორი შაური